

ლიტერატურული გაზეთი



FRANKFURTER BUCHMESSE

10-14 ოქტომბერს ფრანკფურტში საქართველომ მსოფლიო მკითხველებს უმასპინძლა. უმსხვილესმა ფორუმმა, რომელსაც ნიგნის ბაზრობა ეწოდება და ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის გამომცემლებს, მწერლებს, ლიტერატორებსა თუ კრიტიკოსებს უყრის თავს, ქართველებისთვის წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა – ჩვენი ქვეყანა ფრანკფურტის საპატიო სტუმრის რანგში შეეგება უცხოელ დამთვალიერებლებს და არა მარტო ქართული ლიტერატურა, არამედ ზოგადად – ქართული კულტურა გააცნო მათ, ვისთვისაც საქართველო მსოფლიო რუკაზე მხოლოდ და მხოლოდ ერთი პატარა წერტილი იყო.

ამ დღეებისადმი მზადება კარგა ხნით ადრე დაიწყო. მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიებამდე იყო დიდი ვნებათაღელვა – გამომცემლები საკუთარ ავტორებზე ზრუნავდნენ, ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრის გუნდი კი პროგრამაზე, რომლითაც ფრანკფურტში შეკრებილ საზოგადოებას აალაპარაკებდა და საქართველოს დღეებს სამუდამო, ყველაზე სასიამოვნო მოგონებებად აქცევდა. ნიგნის ბაზრობამდე პირველი შთაბეჭდილება ანბანით მოთხრობილმა ისტორიამ მოახდინა. როგორც აკა მორჩილაძემ აღნიშნა – საქართველოში არაფერი ისე არ ჰგავს საქართველოს, როგორც ქართული ანბანი და არაფერი ისე არ ეხამება ქართულ სიტყვას და ქართულ ხასიათს, როგორც ქართული ანბანი. სწორედ ამ ანბანით მოუთხრო მსოფლიოს საქართველომ კიდევ ბევრი ამბავი, რომელიც მთელ ფრანკფურტს მოედო, პავილიონები თუ საგამოფენო სივრცეები მოიცვა და რომლის ნაწილსაც „ლიტერატურული გაზეთი“ მომავალ ნომერში გაგანდობთ.



ის ამბავი გაზქურების კვირეულში მოხდა.

დილაუთენია მობილურზე შეტყობინება მომივიდა — მთელი კვირის განმავლობაში გაზქურის ნახევარ ფასად შეძენა შემეძლო.

ჩემი ღუმელი დიდი ხანია, კვამლს აბარებს და თვალს მინვაკს. წინა თვის ხელფასიდან მორჩენილ ფულს ამ თვის დანაზოგსაც თუ დავუმატებ, ბებიჩემის გაზქურას ახლით შევცვლი და გურუს დაბადების დღისთვის მის საყვარელ კექსსაც გამოვუცხოვებ ცრემლების გარეშე.

კექსის გახსენებაზე ბუფეტის უფრიდან რეცეპტების რეგულარულ გამოვიღე. საციკით ინყება და იქვე ბებიას შენიშვნა ერთვის: „ხმელი სუნელი უფრო მეტი, ვიდრე წერია“. ყველა კერძს გვერდით მიწერილი აქვს იმ ქალის სახელი, ვისაც უსწავლებია. ერთგან ცხიმის ლაქისგან სტრიქონი გადღაბნილა, თუმცა მაინც იკითხება: „დავჭრათ ხახვი ეკვატორულად“. მურაბები და ნამცხვრები ბოლოსკენაა. ამ გვერდებს დღემდე ასდის ბებიჩემის თითებიდან შერჩენილი ვანილის სურნელი. გვერდებს შორის რამდენიმე ძველი წერილიც დევს. ეს ბიძაჩემისთვის მარტყოფის მამათა მონასტერში გაუგზავნილი წერილებია და ყველა ერთნაირად იწყება: „მამაო არჩილ, შვილო...“

ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდი, რადგან შვილები პირველი ქორწინებიდან ხშირად დედის მშობლებთან ცხოვრობენ ხოლმე. მე და არჩილი და-ძმასავით ვიყავით, ჩვენს შორის სხვაობა მხოლოდ რვა წელი იყო. დილით ჯერ მე მიმაცილებდა სკოლასთან და მერე თვითონ გარბოდა ლექციაზე. ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში სწავლობდა და გაკვეთილების შემდეგ კურსელებთან ერთად ხშირად შემხვედრია ქუჩაში შტატივზე დამაგრებული დიდი ლინზით — სულ რაღაცას ზომავდნენ, ინშნავდნენ და ანგარიშობდნენ. ერთ დღესაც სწავლას თავი დაანება და მონასტერში წავიდა. მახსოვს, არჩილის წასვლის შემდეგ ბებიამ და ბაბუამ ისე იჩხუბეს, ერთ საღამომი გამოაცალეს გული ორმოცწლიან თანაცხოვრებას. ჩხუბისა და ყვირილის ისე არ შემშინებია, როგორც იმ წამის, ბაბუამ ტრანზისტორს ხელი რომ დაავლო და იატაკზე დაანარცხა. ეს კი მართლა ნიშნავდა განშორებას მისამართის შეუცვლელად.

მართალია, არასოდეს მენახა ბებია და ბაბუა როგორ ეალერსებოდნენ ერთმანეთს და არც მათი სიყვარულის ამბავი ვიცოდი, მაგრამ იყო რაღაც მაგიური იმ ღამეებში, საწოლში ერთმანეთზე მიხუტებულები რადიოს რომ უსმენდნენ ხოლმე. ბაბუა მკერდზე დაიდებდა ტრანზისტორს, „ამერიკის ხმის“ დახშულ სიგნალს წვალვით დაიჭერდა, ბებია მხარზე დაადებდა თავს და სულ ეს იყო მათი ქორწინების საიდუმლო.

ბაბუა ავად რომ გახდა, ჩემი მანქანა არ გაყიდოთ, ერთ თვეში ფეხზე დავდგებიო. თვეც გავიდა და წელიწადიც და ბაბუა კიდევ უფრო დაუძლურდა. დროდადრო აივანზე გაგვაყვანიებდა თავს, მე ქვემოთ ჩავირბენდი, გარაჟის კარს გავაღებდი და დავანახებდი ხოლმე მანქანას. დადგები, აბა, რას იზამო, ეტყობა ბებია და ჭაღარა თმებს მხრებიდან გადაფერთხავდა. უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, სწავლის საფასურის გადასახდელად ბებიამ მანქანა გაყიდა. მეორე დილით ბაბუამ, ჩვენი გარაჟის კარის ჭრიალს ათას ხმაში გამოვარჩევო, ცრემლმორეულმა გვითხრა და იმ დღეს დაკარგა გამოჯანმრთელების იმედი.

დაკრძალვის მეორე დღეს სამგლოვიარო მდუმარება ისევ ბებიამ დაარღვია, ტელევიზორი საფეხბურთო არხზე ჩართო, ხმას აუწია და ფანჯრები გამოაღო. „ვის ვათქმევინებ, რომ ჩემი კაცი წავიდა!“ — ცრემლი შეიშრო თვალზე და სავარძელზე ბაბუას მისი გური გადამინა. ორმოცის შემდეგ ბებია დედაჩემმა წაიყვანა თავისთან, სასონარკვეთილს ყველა წყენა დაავიწყდა და პატარა ბავშვივით დამორჩილდა.

— ქეთიკო... — დაიწყო დედაჩემმა. — არა, — ვუპასუხე მე და როიალზე ბაბუას სურათს ამოვავარე.

სახლის გაქირავებაზე უარი ვთქვი და ძველ სახლში ახალი ცხოვრება დავიწყე.

ხშირად მიფიქრია, „ვოლგის“ ნაცვლად გარაჟი რომ გავგეყიდა, ბაბუაც მეტხანს იცოცხლებოდა და ჩვენი ეზოც სხვანაირი

იქნებოდა. უბნისთვის ერთი ძველი, უძრავი მანქანა ისევე აუცილებელია, როგორც ბებერი, წითური კატა, რომელიც სიცხეში იმ მანქანის ქვეშ თვლემს, და კიდევ იზო, უკუღმა ჩაცმული ჭრელი კაბებით. ამ დილით მალაზიასთან შეხვდა, გამახსენე, შენი გვარი რა ასოზე იწყებაო. ტ-ზე-მეთქი. ჰოდა, შენ ამ მალაზიაში ვინ მოგყიდის რამეს, ანბანის მიხედვით არაყიშვილის და ფალიაშვილის კვეთაზე გასტრონომი გეკუთვნისო. არ ვიცი, რატომ დავმორჩილდი, მაგრამ მალაზიაში არ შევედი და პური თონეში ვიყიდე.

სახლში მობრუნებულს ახლა სადარბაზოში დამხვდა, ნარბეშქმეხული ათვალე რებდა მობინადრეთა ძველ აბრას. გორგიშელზე მკითხა, რომელ სართულზე ცხოვრობს, გასტრონომების სივს თურმე ეგ ადგენსო, ვილაცას მოხერხებულად მიუსწავლებია.

გორგიშელთან ყველა ნამყოფია ერთხელ მაინც, თუმცა ამას არავინ ამხელს. თუ ნაცნობი შეგხვდა სადარბაზოში, შეცბება და მოიბოდიშებს, ოთარი ჩემი ახლობელია და მოსანახულებლად მოვედიო.

ასე „დაუნათესავდა“ მთელი ქალაქი ფსიქიატრ გორგიშელს, რომელიც მთლად ყოჩაღად არც თვითონ გამოიყურებოდა.

გურუს კოცნით ვაღვიძებ. ჯერ კიდევ ცალთვალდახუჭულს ვუყვები, იზო შემხვდა და ასე მითხრა-მეთქი. თონის პურის

ლი მეგონა აღმოსავლეთ ევროპაში, სინამდვილეში რუსიკო ყოფილა შებრუნებით და ცხოველთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ყურის ძირში. ხანდახან მიჭირს იმის დაჯერება, რომ გურუს და ოკისურას, იგივე გურამს და რუსიკოს, მხოლოდ დათვური სამსახური აერთიანებთ.

გარეცხილ ჭიქებს საშრობზე ვალაგებ, ხელებს ჩაის ტილოთი ვიმშრალებ და გურუს ვკოცნი. ჩვენ გვიყვარს სივრცეების არევა: სადარბაზოში მწვანე სავარძელი გვიდგას, მისაღებ ოთხში ძველი საფოსტო ყუთი გვიკიდა, საძინებელში უმაქრო ყავას ვსვამთ და სამზარეულოში ერთმანეთით ვტკებებით, მაგრამ ზღვაზე თუ არ წავედით, ლოჯიაში ვერ გავირუჯებით.

— ნელს მოიცლი ზღვისთვის? — პასეანს ვშლი მაგიდაზე.

— აუ, არ ვიცი, ეს ხელი ისევ მტკივა. ვერ ვიცურავებ და რა ვაკეთო, მზის ჩასვლას ვუყურებ? — მარჯვენა ხელის მტევანს სხვადასხვა მიმართულებით ატრიალებს.

— არა, ქალებს ვუყურებო, ზღვიდან ამოსვლის მერე როგორ წურავენ ლიფებს გაუხდელად, — დამებს ვალეტებთან ვანყვილებ.

— ოო, ეგ სექტემბრის დასაწყისში, ოკეი? — თვალს მიკრავს და მიღიმის.

— ოკეი, — უმიზეზოდ მევსება თვალეზი ცრემლით.



ნაჭრებს კარაქს ვუსვამთ და ზრუნვის ნიშნად ერთმანეთს ვუცვლით. მდუმარედ ვსაუბრობთ და დროდადრო მობილურ ტელეფონებს ჩავცქერით.

— რას ფიქრობ? — მეკითხება გურუ. — იმას, რომ იზომ შეიძლება, სიბერემდე ვერ მიაღწიოს, მაგრამ მაინც დიდხანს იცოცხლებს, — თაფლის ნალექსით ცერა თითით ვწმენდ ჭიქის პირიდან.

სინამდვილეში კი გურუსთვის იმის თქმა მინდოდა, რომ ხშირად ჩვენს მივინყებულ ამბებს სხვები ინახავენ. მათსაც კიდევ ვილაც დაატარებს და სანამ ყველა იმ ადამიანის გული არ შეწყვეტს ძგერას, ვინც ერთხელ მაინც შეკრთა ჩვენ გამო, ჩვენც ვიცოცხლებთ. გურუს უთქმელად ესმის ჩემი და მპასუხობს:

— ეგ რეა, ერთმანეთის ტყვეები ვართ, — მხარზე მკოცნის და ცარიელი ჭიქები სამზარეულოში გააქვს.

ვიცი, ახლა სხვა ტყვეებზე ლაპარაკი ურჩევნია, ულრანი ტყის ნაცვლად რესტორნის ვოლიერებში რომ ცხოვრობენ. როგორც გურუმ მითხრა, თითო ასეთი ბელის მიღმა მოკლული დედა დათვია წითელი წიგნიდან. ეს ბელები კი სამუდამო ტყვეები არიან და ხვალევე რომ დააბრუნო ტყეში, მაინც ადამიანებთან დაბრუნდებიან. გურუ მეორე წელია, ამ პროექტზე მუშაობს და სულ იმის მტკიცებაშია, რომ ზოოპარკი მეტ დათვს ველარ უმასპინძლებს და მათთვის თავშესაფრის მოწყობა აუცილებელია.

ბოლო დროს უფრო და უფრო ხშირად ახსენებს ოკისურას, რომელიც ამ საქმეში დახმარებას ჰპირდება. ახლაც ვილაცას ელაპარაკება, ოკისურამ, ათი მაინც უნდა იყოს, თავშესაფრის საჭიროება რომ დავასაბუთოთო. გურუმ შემთხვევით გამოვარკვე, რომ ოკისურ(ა), მე რომ იაპონური საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენე-

მე და გურუს კავშირი გვაკავშირებს, რის გამოც ჩვენს ყველაზე დიდ მხიარულებასაც კი მსუბუქი სევდა ახლავს ხოლმე. ჩვენზე უკეთ არავინ იცის, რომ ამოების თანდაყოლილ დარდს ვერაფერს მოუხერხებ და სხვასაც ძნელად თუ გააგებინებ, რას შეიძლება ნიშნავდეს დასასრულის დაუძლეველი შიში და საგანგაშო ბედნიერება. ჩვენ არასოდეს დავდგამთ ფეხს მეცხრე ცაზე, რადგან სიკვდილივით გვაშინებს დღესასწაული და აღმადრენა. გურუ ჩემზე მეტად უფროსის ცვლილებებს, უეცარ სიხარულსაც კი, თუმცა სიცოცხლით ტკობის უსაფრთხო დოზისთვის ხანდახან ორივეს გვჭირდება მძაფრი შეგრძნება — რაღაც უფრო მეტი, ვიდრე დილაობით კბილების გახეხვისას სიყვარულის მუნჯურად ახსნა. ამიტომაც ყოველდღიურობის მოტრფიალები სერატონინის უანგარო დონორებს განსაკუთრებით ვუფრთხილდებით.

თვეში ერთხელ, როდესაც ვაკის შავკაბიანთა სინოდი ჩემს სახლს ტოვებს, ლაშა ჩემთან რჩება, მუთაქებზე შერჩენილი სურნელების ამოცნობას ცდილობს და თვალდახუჭული ამბობს: „თეთრი ვარდი, ბერგამოტი, ამბრი, მუშუკი და პაჩული.“ მე თასში ჩარჩენილ ბაჟის ვენოსავ და ვპასუხობ: „ნიგოზი, ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ნიორი და ყვითელი ყვავილი.“ მერე ჭერზე ძველ ბზარს ახედავს და ნინას გამოაჯაგრებს — „ქეთ, ამ სახლს ერთი კარგი რემონტი და ჯავარძიების დაუპლექსს აჯობებს.“ მე თმას თაკოსავით ვიჩეჩავ და ბოხი ხმით ვუბნები — „ლაშუკო, აი, შენ რომ მოიყვან ცოლს, მაშინ გავიხდით შავებს.“ ნასუფრალს სწრაფად ვალაგებ, ხალიჩაზე ვსხდებით და დარჩენილ სასმელს ვწრუპავთ.

— ნახე, რა ამბავი ატყდა ოლიმპიურ ცეცხლზე? — მეკითხება და ღვინის ბოთლის ეტიკეტს აკვირდება.

— რა ცეცხლი, რის ცეცხლი? — სათადარიგო კითხვებით ვცდილობ, გამოვიცნო, ხუმრობს თუ ნამდვილ ამბავს მიყვება.

— რა გჭირს, ოლიმპიური ფესტივალი ხო აქ იმართება ნელს, მალალეტკენის? — სიგარეტს უკიდებს და კვამლს ფანჯრისკენ უშვებს.

— ჰო, ჰო, — ოქროსფერი ჩირაღდნის ფოტო მახსენდება დილის ნიუსფილმი.

— საბერძნეთიდან ხო წამოიღეს ეს ცეცხლი და მოატარეს მთელი საქართველო, — ჭიქიანი ხელით წრეს ხაზავს ჰაერში.

— მერე? მაგარია, არა?! — მინის თხილს მუჭში ვუყრი.

— რა არის, გოგო, მაგარი?! წარმოიდგინე, ათენში, პანათინაიკოსზე რომ აენთები და ხონში რომ აღმოჩნდები, — ხელით მანიშნებს, საფერფლე გადმომაწოდებო.

— ვაიმე, რას მიყვები, ვერ გავიგე?! ესტაფეტაზე ლადაობ? — ღვინოს ვამატებ ჭიქებში.

— მოკლედ, გურუმ შემოაბრძანეს თბილისში და ფეისბუქში დაიდო ფოტო. ოლიმპიური ცეცხლის ალში ვილაც ბიჭია გამოსახული, ჯინით, ფეხებშეკრული! — ნაფაზს ნერვიულად არტყამს.

— ბიჭო, საიდან იგონებ ეგეთებს?! — ვხარხარებ და თმას ვუჩეჩავ.

— ვაიმე, დაგთავაზე და ნახავ! — გამომეტყველება არ ეცვლება.

— მერე, მერე? — სიცილს ვიკავებ, რომ ბოლომდე ვაცადო მოყოლა.

— ადგა მძკ და ლოკომოტორის სტადიონიდან თავისუფლების მოედნისკენ მოანყო მსვლელობა, კოკა-კოლის გადაჭრილ ბოთლებში გარჭობილი სანთლებით. გადაგვაკიდებინებთ და ჩვენი სპორტსმენებისთვის ვილოცებთო, — ხელით იჭერს ტუჩის კუთხეებს.

— ლაშა, აქ აღარ დაგინახო! — სიცილისგან ცრემლები მდის, — იდიოტი ხარ!

— ეგ არის რა! მოყვები — სიგაჟეა, დანერ და — ლიტერატურა, — საკუთარ მონაყოლზე ეცინება.

სამზარეულოში გავდივარ და ცივი კატლეტები გამომაქვს. „ტყემალიც რა“ — მახსენებს ლაშა. გურუ მირეკავს და მათხილდებს, რომ ავციანდება. ვუბნები, რომ მე და ლაშა ვართ და ღვინო გვითავდება. ვიცი, რომ ვერ მოგვისწრებს და დილით საუზმეზე მომიწევს ოლიმპიური ცეცხლის ამბის მოყოლა. გურუც გაიღიმებს და მეტყვობს, რომ „მაგარია“, მაგრამ უფრო იმის ვიცი, რომ მე მხედავს ბედნიერს. არ ვიცი, ნაბახუსევზე შეიძლება, მართლაც აღარ იყოს ფეხებშეკრული ათლეტი ასეთი სასაცილო, მაგრამ ახლა მგონია, რომ ლაშასთან მეგობრობა უფრო ამსუბუქებს ჩემს მელანქოლიას, ვიდრე თიროქსინის აბი უზმოზე.

— რაღაცა მიმაღო, ლაშუკო, — დანაყრებულს ხმა მეცვლება.

— მოიცა რა! — თვალს მარიდებს ლაშა და მობილურში იყურება.

— თელ, ვინ არის? — მოსასმენად ვეშხადები და მხრებში ვიშრებო.

— როგორ გითხრა, არ ვიცი... — ფეხზე დგება და როიალისკენ მიდის.

— ვაიმე! გურუმ გამცვალა?! — სკამზე გადაკიდებულ პიჯაკზე ვანიშნებ თვალთ.

— ნუ აფრენ, რა! — ერთი თითით უკრავს საქართველოს ჰიმნს.

— აბა, რატომ ვერ მეუბნები? — მუთაქას ვუღერებ.

— კაი! დათუნა კიპაროიძე, — როიალს ხურავს და თვალებში მიყურებს.

— ვინ დათუნა კიპაროიძე, ბიჭო?! პარალელურში რომ იყო? ჰუმანიტარულში? — მოულოდნელობისგან მუხლებზე ვდგები.

— ჰო, კარლოსთან, — ხმადაბლა მეუბნება.

— ცალყვერას რომ ეძახდნენ?! — ხმადაბლა ვეკითხები.

— ვაიმე, ჰო, ქეთიკო! მეტი არაფერი გაგახსენდა?! — წყენას ვერ ფარავს.

— ჰო, კაი, კაი! იმ დღეს ნინამ ახსენა, ფილოლოგი რომ არ იყოს, მართლა კაი ბიჭიაო, გეფიცები! — გულზე ხელს ვიდებ.

— აღარ ყოფილა ფილოლოგი, მომარაგებაში ვარო, — ნიშნისმოგებით ამბობს ლაშა.

— ვახ, დათუნა ნახე რა, დანიანურე-ბულია! — ღვინისგან ცალი თვალი მესხუ-ჭება.

— ჯერ ისეთი არაფერი. ვნერ, მწერს. წერა კი იცის. სულ მეშინია, რამე არ შემე-შალოს და ena.ge მაქვს თან გახსნილი, — თავს ხრის და მარჯვენა ხელის გაშლილი მტევნით ორივე საფეთქელს სწვდება.

— აბა, კენა თუ კენა? — მხარზე ვკ-ბენ ლაშას.

— შენც მაგარი გიჟი ხარ, ქეთიკო! — მკოცნის და წასასვლელად ემზადება.

— არ ნახვიდე რა, ჩარი ვაქოთ, — ნარდს ვხსნი და ქვებს სწრაფად ვალაგებ.

კამათლებს ვაგორებთ. ჩემი მაშზე ჯდება, ლაშასი — დუხე. ნავაგე, ამბობს და იქვე ამთავრებს თამაშს. ღვინო მეკიდება და თავიდან ვინყებ იმის ახსნას, რომ თამაშის ჟინი და მოგების სიხარული სხვადასხვაა. აღარ ვაძალებ, კეპს ვანვდი, რაც იმას ნიშნავს, რომ შევთვერი და მეძინება. ლაშა წამოდგომამი მესხმარება და კარისკენ მიდის. „აღბად“ არ მინერო, ბიჭო, თორემ დაგერხევა“ — გასვლისას ფოტოს ვუღებ და ვემშვიდობები. გურუს ვწერ: „იცი, ლაშა შეიძლება, გენატრებოდეს, მაგრამ თავს არასოდეს შეგანწყენს. ნავიდა.“

გვიანობამდე ვიმუშავე და აუდიტისთვის ყველა საქაღალდე მოვანწერიე. ერთ კონტრაქტს შესრულებული სამუშაოს ანგარიში აკლდე. არ მიყვარს შევებულების დროს ვინმეს შეწუხება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და მარის დავეურეკე. სადმე მანდ იქნება, კაცის გარდა ცხოვრებაში არაფერი დამიკარგავსო. ბევრი არც მიძებნია, უჯრაში ედო და ზედ „საკანონმდებლო მაცნეს“ ძველი ნომერი ეფარა.

გუშინდელის გამო დღეს დასვენება მეკუთვნის და დილით კარგად გამოვიძინე. მინდოდა, გურუსთან ერთად მესაუზმა, მაგრამ თქმაც ვერ მოვასწარი, ისე გამა-ასწრო. ჯეზუდთან ადიდებული ყავა გაზქურის ზედაპირზე გადმოიღვარა, მიმხმარ ნალექზე ჩიტი გამოისახა. ჩაიღ-ნიდან წყალი დავასხი და დავივინყე.

გურუს ვწერ: „გუშინ ქარი იყო და, მგონი, მტვერზე ალერგია დამემართა, გვაქვს რამე?“ მალევე მპასუხობს: „მონაბერ მტვერზე ალერგია ემართებათ ყოფილ ყვავილებს, გამრავლების შიშით.“ არც ღი-მილი, არც არაფერი. მგონია, ერთ დღეს გამცვლის და გამრავლდება. ოც წუთში გურუ მოულოდნელად ბრუნდება და რაღაც აბები მოაქვს ალერგისთვის. ვუბ-ნები, რომ ქარის სულაც არ მეშინია, უფრო მეტიც, ანემოფილი ვარ და ქარიშხლებს დავდეკ. წუხელ იმდენ ხანს ვუყურე ნე-ბრასკელი ჩეიზერების გადაღებულ ვიდე-ოს, სანამ თავბრუ არ დამეხვა. ამაღამ ვფიქრობ, ტეხასში გადავინაცვლო და ორსაკვამურიან ტორნადოს ავედევნო. წამალს წყლის გარეშე ვყლაპავ და გურუს ჩემთვის გამზადებულ ყავას ვუთმობ. სწრაფად სვამს, პერანგს იცვლის და სამ-სახურში ბრუნდება.

დასვენების დღის სახლში გატარებას არ ვაპირებ. ვერაზე ვავისეირნებ და ძველ ეზოებში თბილისელ ფისოებს გადავიღებ, მერე საკუთარ თავს ვაშლის შტრუდელით გავუმასპინძლებდი და ჩემებსაც მოვიზიან-ული.

ჭაჭაჭაქამდე ფეხით ჩავდივარ და ტაქ-სის ვაჩერებ.

- ახვლედიანზე რამდენად გახვალთ?
- გამახსენე, გენაცვალე, სად არის?
- აი, ფლარმონიასთან, იქვე.
- კოსტავაზე დავეშვა?
- არა, არა, რუსთაველისკენ რომ გაუყვებით, გამზირის პარალელურია.
- დაჯექი, ბელისკით ავუხვევ.
- სად აუხვევთ, ქვედა ქუჩაა.
- ახვლედიანზე მიუბნები, კაცო? ეგრე გეთქვა რა თავიდან.
- ეგრე გითხარით და რამდენად გახ-ვალთ?
- დაჯექი, დაჯექი.

ჩაჯდომისთანავე ვანვდი ფულს. „ფრა-ნგული დუხია?“ — მეკითხება და სარკიდან მიყურებს. პასუხს არ ელოდება. „მომამია, აი!“ — მიღმის და მზეზე გახურებულ ხურ-დას მანვდის. საკმარისია, შლაპა დაიხურო და ფოტოაპარატი გადაიკიდო, რომ ტაქ-სის მძღოლებისთვის ენა კარგავს მშობლი-ურ უღერადობას და ტურისტულ ფასად გინევეს საკუთარ ქალაქში მგზავრობა.

გზად ამოწურულ მეგაბაიტებს ვავსებ

და საჩაიხსთან ჩამოვდივარ. ინტერნეტი, ჩაი და ჩაის ჩაი ჩემი მთავარი ხარჯია. ჩათ-ში ზურა მწერს: „ოღონდ თამაშს მე მოვი-ფიქრებ.“ მალე მინიშნებასაც მიგზავნის: „ცხვარიჭამის გზაზე ტყისკენ ავუხვევთ.“ ზურას ერთი თვის წინ შემთხვევით გადა-ეყარე ფეისბუქში თანამშრომლის ფო-ტოზე. იმ წამსვე გამახსენდა ნითური ბიჭი, რომელიც მხოლოდ ერთი წელი ისვენებ-და ჩვენს სოფელში და უფროსებსაც კი უგებდა ჭადრაკს.

მაშინ ორივე თერთმეტი წლისანი ვიყა-ვით. უცნაური ბავშვია, სულ რაღაცას ითვ-ლის და თავისთვის ბუტბუტებსო, ამბობდ-ნენ მისი მასპინძლები. მე და ზურა კი მალე დავმეგობრდით და მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. დასწავლილ თამაშებზე მეტ-ად ჩვენი გამოგონილი გასართობები მოგვ-წონდა: ხან სიმინდის მარცვლებით ვზომავ-დით მანძილს ერთი ხიდან მეორემდე, ხან ველოსიპედს ამოვებრუნებდით და ვეჯიბ-რებოდით, ვინ უფრო დიდხანს დაატრი-ალებდა ბორბალს ერთი შეხებით. ერთხ-ელ ასეთი თამაშიც კი მოვიფიქრეთ — მეზ-ობლის ბაღში ყველაზე დიდი საზამთრო უნდა მოგვეპარა და მხოლოდ ჩვენ ორს გვ-ეჭამა. ზუსტად ერთ საათში ვინც მეტს მო-ფსამდა, გამარჯვებულიც ის იქნებოდა. ას-ეც მოვიქცით. საზამთრო სახლიდან მოპა-რული ჯიბის დანით ნაღის უკან გავეჭე-რით, თანაბრად გავინანლიეთ, მწვანე ნახე-ვარმთვარეები კვალის გასაქრობად ღორ-ებს დავეყარეთ და დათქმულ დრომდე სა-შიში ამბების მოყოლით შევიქცით თავი.



გვალვისგან გამომშრალი მინა შეჯიბ-რისთვის არ გამოგვადგებოდა, ამიტომ ზურას ბელისკენ მიმავალ მოცემენტე-ულ გზაზე მივანიშნე. „მიდი ჯერ შენ, არ გამოვიხედავ“ — მითხრა და ზურგი შემა-ქცია. ორ წუთში დიდი გუბე დავაყენე, კაბა გავისწორე და ამაყად გავძახე — „ახლა შენი ჯერია, თვალს ვხუჭავ!“ როდესაც ჩხრიალის ხმა შეწყდა და თვალი გავახილე, მეორე გუბე ვერსად დავინახე. ზურამ წაგე-ბის შიშით ჩემ გუბეს დააფსა და თამაში ჩა-შალა.

მეორე დღეს უცნაური ბიჭი წავიდა და მეც გავიზარდე. წლებთან ერთად, როდეს-აც ჩვენი სახლის კარის ჩარჩოზე მონიშ-ული ხაზები ზემოთ მიიწვდა, უფრო და უფრო მენატრებოდა ზურა და თავშესაქც-ევად პასეანსების გამლაც მაშინ ვისწავლე.

მარი შევებულებიდან დაბრუნდა, თათ-ბირამდე ყავის დაღვევა და ერთმანეთის მოკითხვა მოვასწარი. ნამზურზე ოქრო-სფერი ტატუ გაეკეთებინა და ლაპარაკის დროს თვალს მარცხენა მკლავისკენ აპა-რებდა. ათ წუთში მთელი კვირის ამბები მომიყვა — ზღვის პირას დაბადების დღის აღნიშვნის, მაშველების გაცნობის, ვერტ-მფრენიდან პარაშუტით გადმოხტომის და ბოლოს ცრემლმორეულს აღმოხდა: „დამ-იჯერე, თუ ცოლიანია, იანვარი და აგვის-ტო არის მკვდარი!“ სასიყვარულო კალენ-დრისთვის ასე არასოდეს შემიხედავს. მარის სურდა, ეს ყველაფერი მეგობრებთ-ან კი არა, მასთან ერთად გადახდენოდა.

მოსმენისას აღმოვაჩინე, რომ ცალი სა-ყურე დამიკარგავს. თანაგრძობის დროს ჩვევად მაქვს მარჯვენა ყურზე ხელის წა-ვლება. დილით სამსახურის სარკეში ჩახედ-ვისას ზუსტად მახსოვს, ორივე მეკეთა, მა-გრამ საყურეს ორი მტერი ჰყავს — გრძელი

თმა და რბილი იატაკი. ერთი შეგხსნის, მე-ორე ხმოვან კვალს დაფარავს და საყურ-ეც შეუმჩნევლად გაგებარება. იმედია, სა-ღამოს დამლაგებელი იპოვის და ხვალ სა-მუშაო მაგიდაზე დამახვედრებს. ეს ამბავი ძილის წინ რომ აღმომჩინა, ნამდვილად მეგონებოდა, რომ საყურე ტყეში დავკარ-გე.

ზუსტად ექვს საათზე კომპიუტერი გამ-ოვრთე და მარჯანიშვილის მოედნისკენ დავეშვი. მიუხედავად იმისა, რომ ზურას ყველა ფოტოალბომი დავათვალიერე ფეისბუქზე, პირისპირ შეხვედრა მაინც ამ-ალეღვებელი აღმოჩნდა, რადგან ხმა და სუნი ფოტოებს არ აქვს. თითქოს ეს წლები არც ყოფილა, მანქანაში ჩაჯდომისთანავე დაიწყო:

- ნარმოიდგინე, ადამიანი სიცოცხ-ლის ბოლომდე რომ იზრდებოდე.
- მერე?
- აი, ბებიჩემი 72 წლისაა, მეტრი და 68 ყოფილა ახალგაზრდობაში. 18 წლიდან რომ არ შეენყვიტა ზრდა და ორი სანტიმე-ტრი მომატებოდა ყოველწლიურად, აბა, დათვალე, ახლა რამხელა იქნებოდა?
- მოიცა! — მობილურში კალკულა-ტორს ვხსნი.
- ეგრე არა, — ხელს აფარებს ეკრანს.
- მაშინ მაცადე, — ხელის გულზე თითით ვნერ ციფრებს.
- 2 მეტრი და 76! — პასუხს არ მაც-დის, — ნარმოიდგინია სამმეტრიანი მოხ-უცები?
- ამას მთელი მანუფაქტურული რეკ-

ოლუცია მოაყოლა, რომ მოზარდი მოხუ-ცები ვერასოდეს ჩაიკვამდნენ შვილების მობეზრებულ ტანსაცმელს და სულ ახლებს იყიდდნენ სპეციალურად მათთვის გახს-ნილ მაღაზიებში; ასლილიანი პერანგების წარმოების ბიუჯეტი ცალკე დათვალა და სანამ დათქმულ ადგილამდე მივედით, ამობრუნებულ სამყაროზე ახალი ქალაქე-ბი გააშენა. მოსმენისას დროდადრო ყურა-დღება მეფანტებოდა და იმის გამოცნობას ვცდილობდი, რას ვითამაშებდი ტყეში. მერე ისიც კი გავიფიქრე, საზამთროს ამ-ბავი შევასხენო თუ უკვე დიღები ვართ და ჩვენში ჩაბუდებული პატარა აზრდილების ამბები ხმამაღლა აღარ ითქმის-მეთქი.

მანქანას ტრასაზე აჩერებს, ცოტა ფეხ-ით უნდა გავიაროთო. სანამ ბილიკს შე-ვუყვებით, ზურგჩანთიდან ორ კონვერტს იღებს და ერთს მანვდის. ეჭვით ვუყურებ, კონვერტებით არასოდეს გვითამაშია. მიდი, გახსენი, მეუბნება და ღიმილს იკავებს. ფრთხილად ვხსნი და გული ყელ-ში მებჯინება, კონვერტი ქალღმისგან გამოჭრილი ყვითელი ჩიტებითაა სავსე. ერთ ცალს ვიღებ და გულში ვიხუტებ, ზუ-რას არც კალმით ნერტილის დასმა დავინ-ყნია თვალის ადგილას. ოცია, თუ გინდა ათ-ათით დავიწყობ, ამბობს და თავისი კონვერტიდან ნითელ ჩიტებს იღებს. იმის წარმოდგენამ, როგორ იყიდა ფერადი ქალღმები, როგორ შემოხაზა ფანქრით ჩიტები და ტუჩებმოკუმულმა ნატიფად გამოჭრა, გული ამიჩუყა.

ეს ჩვენი საყვარელი თამაში იყო სოფ-ლის სასაფლაოზე. გავინანილებდით ჩიტ-ებს და ვიტყობოთ — ვეძებთ 1970 წლამდე გარდაცვლილებს, ან ვეძებთ 1930 წლამდე დაბადებულებს. ხანდახან თამაშს ვართულებდით და იმით ვაცოცხლებდით, ვინც 40 წლისაც არ იყო, აქ რომ მოიყ-ანეს. ეს უკვე არადადგებზე არითმეტიკის

გახსენებას ნიშნავდა. მაშინაც ხელს გულზე თითით ვნერდი წამოსახვით ციფრებს და ქვეშინერით ვაკლებდი და-ბადების წელს გარდაცვლებისას. ზუსტად 15 წუთში სასაფლაო უნდა დავეცხოვებო-ნა და სანყის ადგილს დაბრუნებოდით. მე ბებიჩემის საათი მქონდა მაჯაზე მორგე-ბული და იმაზე ვინიშნავდი დროს, ზურას უკვე საკუთარი საათი ჰქონდა ყველა შესა-ძლო ისრითა და კალენდრით. გამარჯვე-ბული კი ის იყო, ვისაც თამაშის ბოლოს ხელში ნაკლები ჩიტი შერჩებოდა ან ყველა გაუფრინდებოდა.

მთავარი ამბავი თამაშის მერე იწყებო-და, ზურას მისიზურზე მოვეჭიდებოდი, მა-ტარებლის ვაკონივით ჩავებმეოდი და აუჩქარებლად ვინყებდით საფლავის ქვე-ბზე დაფენილი ქალღმის ჩიტების მონახ-ულებას, უფრო კი ერთმანეთის გადამონ-მებას. მონიშნულ საფლავებთან ვჩერდე-ბოდით, გადაქეჩილ ფოტოებს ვათვა-ლიერებდით, სახელებს და გვარებს ხმამა-ღლა ვკითხულობდით და ბალახებისგან ვასუფთავებდით.

— აქ სად არის სასაფლაო? — ღელვა მეტყობა ხმაზე.

— ამ გზას ავივლით და აქვეა, — წინ მიმიძღვის ზურა. ხეებით დარდილულ ბილიკს ტყის სიღრმეში მივუყვებით და რამდენიმე წუთ-ში მდელივთე გავდივართ. სასაფლაოს და-ახვა პირველად მაფრთხობს, მაგრამ ვხ-ვდები — ეს უფრო იმის შიშია, რომ ბავშ-ვობისდროინდელი თამაში შესაძლოა, სუ-ლაც აღარ აღმოჩნდეს ისეთი სახალისო.

- ახლა ვის ვეძებთ? — თამაშის პირობას ვაზუსტებ.
- ცოცხლებს, ჩვენს დაბადებამდე.
- შევთანხმდით.
- დანარჩენი გახსოვს?
- მახსოვს!
- დავინყეთ!

თამაშში ერთდროულად ვებმევიტ და რამდენიმე წამში ერთმანეთს ვკარგავთ. პირველ საფლავს მალევე ვაგნებ, ყვითელ ჩიტს საფლავის ქვაზე ვდებ და პირობის თანახმად ხმამაღლა ვყვირო:

— ჩიტი ქვაზე! — ხმა მიწყდება ღელვისგან.

— ჩიტი ქვაზე! — მალე ზურას გულ-იდან ამოხეთქილი ხმაც მესმის. თან საათზე ვიხედები, რომ თამაში არ ნავაგო. ალბათ იმავეს აკეთებს ზურაც. ცამეტ წუთში შვიდი ჩიტი დავაბინვე და ორი წუთი მოვიტოვე სასაფლაოს დასა-ტოვებლად. ბავშვობაშიც ასე იყო, ერთ-მანეთის ძახილს თამაშის დროსვე ვითვ-ლიდით და ზუსტად ვიცოდით, ვის ერგო გამარჯვება. თუმცა სიხარულის ყიჟინა მხოლოდ ხელში შერჩენილი ჩიტების დათვ-ლის შემდეგ გაისმოდა.

ამჯერად სამი ჩიტით დავბრუნდი ცაცხვის ხესთან, ზურა — ოთხით. გამარ-ჯვებას ძველებური სიხარული აღარ მოუ-ტანია. ზურას მისიზურზე მოვეჭიდე და ნი-თელ-ყვითელი ქალღმის ჩიტებით აჭრელებული სასაფლაო უხმოდ მოვი-არეთ. მხოლოდ ერთი-ორს დასჭირდა ხე-ლის შეველება და გასუფთავება. აგვისტოს მზეს ბალახი გადაეხმო და მინაზე დაეფი-ნა. გარდაუვალ ჭკნობას მიტოვებული, ბარდებით დაფარული საფლავები კიდევ უფრო მოსანყენი სანახაობად ექცია. ამ ყვე-ლაფერმა სამინელი სევდა მომგვარა და გურუ მომენატრა.

ზურას ვეუბნები, რომ ღამდება და უნდა წავიდე. ისეც ცაცხვის ხესთან ვბრუნდებ-ით. ფისი მინდა, თავჩარგული ამბობს და ორივეს გველიძება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბავშვობის ბოლო საღამო და საზამთროს ამბავი ისევე ახსოვს. ზურა ხეს ეფარება, მე ხის კუნძზე ვჯდები და სანამ დაბრუნდება, მესინჯერს ვამონმებ.

„ორივე ჰქონია“ — მწერს ლაშა.

„ეგრეც ვიფიქრე. აბა, ისე ვინ გააჩ-ერებს მომარაგებაში“ — პასუხს ნითელ გულს ვაყოლებ.

„მეთუ ვიპოვებ!“ — იმციმებს გურუს ფანჯარა.

„ოკისურამ უკვე იცის?“ — გაგზავნი-სთანავე ვნანობ ეჭვიანობას.

მობილურზე თარიღს დავხედე, გაზქურების კვირული გუშინ დასრულე-ბულია. ეს იმას ნიშნავს, რომ წინა თვის ხე-ლფასიდან მორჩენილ ფულს ამ თვის და-ნაზოგსაც თუ დავუმატებ, დაბადების დღისთვის გურუს კექსზე უფრო მაგარ რამეს ვაჩუქებ.



ვანო ჩხიკვაძე

გუგულიანი საათი სსპიტორში

ხან გუგულის „გუგუ-გუგუ“,
ხანაც მატარებლის „კუ-კუ“,

სადგურიდან სადგურამდე
სევდიანი ვაყურადებ.

ფანჯარაში ვილაც მოჩანს,
თავის ლექსის ტაეპივით,
აკაკი ხომ არ ბრძანდება,
უბრალო და ღვთაებრივი?

ნეტავი რა მანძილია
იმ ყურიდან ამ ყურამდე,
მხოლოდ ერთი გაელვება —
სადგურიდან სადგურამდე.

— ორპირმა არ დაგიბეროთ,
უნდა ჩამოვუშვა ფარდა! —
„პრიკუსკით“ რომ ჩაი უყვარს,
გამყოლმაც კი იცის კარგად.

— იმე, რაფერ შეგნუხდები,
ამ ვაგონში მარტო ვმეფობ,
ისურვებ და, სადგურამდე,
ხაჭაპურსაც მოვასწრებო.

უკვდავების წამალი მქნა,
თქვენ ოლონდაც დიდხანს წერეთ,
ამ სექცია-ხვლიკს კი არა,
დედამინას შევაჩერებ!..

ხან გუგულის „გუ-გუ, გუ-გუ“,
ხანაც მატარებლის „კუ-კუ“...
ორთქლმავალის „სამოვარი“,
რა თქმა უნდა, სანდო არის...

ჩავა, ვინმე ხომ დახვდება,
ერმილე ან კაკოია,
მონინებით თავდახრილი
ჩამოართმევს საკვოიას.

გაქრა ბრძენი მეცხრამეტე,
ბუფერების „ჩუქუ-ჩუქუ“.
ალარც მატარებლის „კუ-კუ“,
არც გუგულის „გუ-გუ“, „გუ-გუ“!

საქართველოს ერთი ნატვრა,
ნეტავ, კიდევ აუხდება?
ხელჩანთა რომ ჩამოართვას,
პოეტს ვინმე დაუხვდება?

სადგურიდან სადგურამდე
ვილას უნდა ებაასოს,
ქვეყანა რომ თავის თავს და
თავის შვილსაც ველარს სცნობს!..

ეჰ, გუგულო, რა ხანია,
ადრე ნევები, გვიან დგები,

ეგეთი რა დაგიშავეთ,
გარეთ აღარ იხედები!

ნუთუ ისე ნავიშალეთ,
არაფერი გიხარია,
ერთხელ მაინც რომ დაგვცახო:
„რაც გინახავთ, სიზმარია!“

სადგურიდან სადგურამდე,
როგორც მეცხრამეტეს „ბისმა“,
ჩაიქროლა, გაიყოლა,
დებისა და გიტარის ხმა.

ტანკების ვალსი

შემოჰყავთ ტანკები
ვალსით და ჰანგებით,
თუ ერთად ვიცეკვებით,
არ დაიკარგებით.

მოდიან, მოდიან,
შავი მტერის ნიაღვრით,
მუხლუხის ღრჭიალით,
მოტორის კრიახით.

ვის უნდა ტანკები,
რად გვინდა ტანკები,
ან რუსის, ან თურქის,
ანდა იანკების.

ჩვენ „გვინდა“ ბანკები
და გულისმანკები,
შოკური ელდით და
ვალების ნაკრებით.

ტყემალში ჩასახარმ
ქინძსა და ომბალოს
რად უნდა ტანკები,
შე დედამომპალო.

დამლაღე, მსოფლიოვ,
სხვა ვინ არ დალაღე,
მომკლავ და საფლავთან
ხელოვნურკბილება
ლიმილით, ყველაფერს
გამჩენს დააბრალებ —
უფალმა ინება!
უფალმა ინება!

დაჭრილი ტანკები
ბოლოს ხომ ჯვართია,
ეს ლულაც გაყრილი
გვირაბის ჯანშია.

ეს ლულა, ის ლულა
სიცოცხლეს ამოკლებს,
ტყვიამ და ფალიამ
ციცხლით რომ გალოკა.

ჩამოხსენ მახვილი,
შემლილო დამოკლე,

ნაღმებით გაძევილი
საკინძეს გამოჰკარ.

არც ვიყავ მეტი და,
არც სხვაზე ნაკლები,
მებრძოლი, ამაყი,
ქალების ამკლები.

სადლაა ტუჩები
ნითელი ბადაგის,
— ბოდიში, მუხლუხზე
ფეხი რომ დაგადგით!

რად მინდა ეს ვალსი,
ანდა ეს ოპერა,
ტანკების სარკველზე
ქვემეხის შტატივი,
თუ რკინის ფრინველით
ცა დაიფოთლება,
ფუგასის გნიასით
და რეჩიტატივით.

შემოჰყავთ ტანკები
შეცდენილ პანდორას,
წარბშეკრულ ბიჭებს და
მხიარულ დაღლარებს.

— ლამაზო ფრეილინ,
რად გვინდა ეს ბრძოლა,
ამალამ თქვენს მკერდზე
ლოცვაში დამლაღეთ!

ილიას კაგლი

ანდრო ბედუკაძეს

საგურამოსთან უნდა მენახა,
წავსულიყავი საგურამოსკენ,
რომ ისევ მეთქვა,
სადაც შენა ხარ,
მთების სიმაღლე ვერ გამოაცებს...

სიკვდილი უკვე მკლავზე მენვინა,
რად ჩაუხსენი იმედს საკინძე,
ცხადშიც მეძინა,
ძილშიც მეძინა,
ღვთის კაცო, რატომ გამომალვიძე.

ეკლის გვირგვინი ისე მოლაღეს —
ზოგს „თავზე“ ადგას, ზოგს ბანკში უდევს.
როგორ მოითმენს,
გერქვას ცოცხალი,
და მამულს ფეხზე არ წამოუდგე!

წინამურს ჩიტიც არ გადაუფრენს,
მოიხვევს ჯვარი ნისლეზს, ლილიანს —
ასეა, როცა ღმერთთან საუბრობს,
როცა უფალი უსმენს ილიას.

თუ სუნთქავ,
თუ ცოცხალი ხარ,



რალაც ხომ უნდა აკეთო,
შამქორი მაინც დალაშქრო,
მახვილი მტერს შეაგებო —

ყარა-ყორუმი ანენე,
ან თემურლენგი გაბანრე,
ალა-მაჰმადი აცეკვე —
სტამბულს გაუყე საბაზრედ.

ასმათის ცრემლთა მარგალიტს
ჯორ-აქლემები მოიტანს,
ან დედოფალის ბაღჩაში
ცხენს მოვაძოვებ კოინდარს.

რა ვქნისას ციხეს ავაგებ,
გავხსნი ჭიშკრებს და დარაბებს,
ვბრძანებ,
მაშრიყეთს,
მალრიბეთს
ჩემი ასული განაგებს!

პომეჯ ვეფხის ტყავისა,
შემქმნელო ლექსის ადათის,
აღმოსავლეთის ცარგვალზე
ცისარტყელად რომ განათდი —

აღსრულება და ლაშქრობა
მიბრძანებია სამთათვის —
ბერის მიმწუხრის ამბავი
ჰპოვეთ და ლექსად გარდათქვით...

თუ სუნთქავ, თუ ცოცხალი ხარ,
შინ თუ განვიმს და გარეთ თოვს,
გაბლანდე ჯაჭვის პერანგი —
რალაც ხომ უნდა აკეთო.

რა მოხდა, ბატონო, რად გიკვირო, ბატონო,
ნიგნს ვყიდი, თქვენსავით, სამშობლოს ხომ არა.
კი გვახსოვს...
მინაზე მანუჟის ხუმარა,
ვერტმფრენის ჩრდილმა რომ ზედ გადაუარა.

საყელო მოუშვა —
უშია ელენთა —
ურჩიეს, უსიზმრეს, მაინც არ მოუშვა.
ვილაცას ჰგონია, სისხლიან ეშვებით,
ვითომდაც ეშლება...
ჩაგვიშვა...
ვეშვებით...

სამშობლოს „ქვა-ლორლებს“
ვინც ბევრჯერ დასცინა —
რა ქნას, სიძულვილზე არასდროს აცრილა —
გასაოცარია, გვეგონა კაცი და,
მარაო აციებს ამხელა ბაცილას.

დრო არის, დაკრიჭოს ძვირფასი კბილები,
ჯერ მოუვლენელმა ჩვილებმაც იციან,
რა მნიშვნელობა აქვს...
ხორცისთვის გიჟდება —
კბილებში რომ მალავს ჰალსტუხის ჩიჩიას...

რად გიკვირს, ბატონო, უძირო ტომარავ,
ნიგნს ვყიდი, თქვენსავით, სამშობლოს ხომ არა?!

სოლომან

მართალო სოლომან, ცოდვებს ინანიებ,
ტყუილით დაღლილი ჯორს მიაჩაქჩაქებ.
ნუ ფიქრობ ეგ ტყავი უბრალო ტყავია,
ტყავი თუ გადარჩა, ეგებ შენც გადარჩე.

უზნეო ტყუილი — ტირის და გაუდის,
აბოლებს ქვეყანას, თუ ერთი აუშვი,
როცა საკბილო ჰყავს,
თავს იქცევს, რა უჭირს,
ყელში გამოდებულს, მიათრევს, კაუჭით.

თუ არ მოუფრთხილდი ტყავს, მალე გეტყვიან,
იკმარე, აქამდე რაც შენთვის მოიხნა:
მაგ ჯორსაც მოიყვან,
ჩოჩორსაც მოიყვან,
კარგად თუ ჭენაობ,
შენ თავსაც მოიყვან —
გეყოფა, ხომ იყავ,
უხსოვარ დროიდან...

აბა რა გირჩიო, მართალო სოლომან,
მნარე ფიქრებში რომ ჯორს მიაჩაქჩაქებ,
ნუ გიკვირს, საპალნემ ასე რომ დაგქაჩა,
ტყუილის ბურუსში რომ ველარ გაქაჩე.

ტყუილი, ტყუილი, ქოფაკზე ავია,
ყელი და ყანყრატო რომ გამოაღადრეს —
როგორ დაიჯერე,

უბრალო ტყავია,
ნიქარას — ნაქცეულ სამშობლოს გახადეს.

საბან-გობანი ეკლის გვიგია,
მაინც უდაბნოს გზებზე მარხულო,
ერთ სასთუმალზე, ვერ გამიგია,
სხვადასხვა სიზმრებს რატომ ვნახულობთ?!

როცა მეგონა, გაიამინდა,
უცებ, ხელიდან რატომ გამეშვი,
მოსულს წარსულის გრძელი ლამიდან,
მიგიძღვებიან ისევ ლამეში.

იფხიზლე-მეთქი,
მალე მუქარის
გრიგალით კედლებს მოაწყდებიან.
ვის შერგებია ეს საჩუქარი —
ყალყზე შემდგარი ტროას ცხენია.

გაგინანილეს, სამოსელივით,
დაგლრლეს, დაგკუნეს და გაგაჩუქეს,
იფხიზლე-მეთქი,
ველარ გაახელ,
თვალი თუ ერთხელ კიდეც დახუჭე!

დავით!

ანა კალანდაძეს

ვადაზე აღარ ფეთქავს მაჯა. განყდა ალვირიც.
ჩაქრა ხაფი ხმა —
„გალობანზე“ მკლავი დაღლილი.
ბინდში შევიდა დიდების მზე, მზე გადახრილი.
ბინდში შევიდა დიდების მზე, მზე გადახრილი...

ვერ ამოფრინდა სხვა შენგვარი ზეცის უბიდან,
სამახარობლო
რალა დარჩა, საით იქარი,
გატყორცნილ ისრებს დააბრუნებს უკან პირქარი,
შენს ცისკრებს დიდი ლამეები ვინც ნაუქიდა!

იხილავ-მეთქი უდაბნოში ობოლ კელიას,
სადაც ჩაუთქვი,
სინანული ამოიგმინებს.
მითხარი, ვიდრე წყალნი უფრო აიმღვრევიან,
ვიდრე დაგვიტანს ცრუ ამბორის მკვლეელი სიმძიმი,

ვადაზე აღარ ფეთქავს მაჯა. განყდა ალვირიც.
ჩაქრა ხაფი ხმა — „გალობანზე“ მკლავი დაღლილი —
„სხვა შეუდგესო!..“ —
ღვთისმშობლის მოგდევს ძახილი:
— ვისი იმედით დასდე, მეფევე, ნეტავ, მახვილი!

ჰამლეტ!

ასე როგორ დაგიტანეს,
ცოდვა როგორ მოგერიო,
ტრიბუნიდან გვემუქრება,
ცხრა ულაყზე მხტომელია,
კაცია თუ
ქალია თუ,
გამოიცან რომელია —
მიდის, მაგრამ მონასტრისკენ
არ გადუხვევს
ოფელია.

ვივა პენსილვანია
გამარჯობა, გამარჯო...
შე გოლფსტრიმის დარაჯო!
გული შენი ფანია,
ისე, როგორც არასდროს.

აბა, განი, განია,
კენია და დანია.
პრინცო, როგორც მახვილი,
გატეხილი, უტარო,
თავისქალა უტანოდ
ვერ იმღერებს არიას.

თუ ცალ-ცალკე არიან
მუშკეტი და ფალია,
თუ სანოლში ქალია და
მისთვის არა სცალიათ,
რალად გინდა თოფი ან
მითუმეტეს, ფალია...

რაც შენ ინდიელები,
თავიან და ტანიან,
ჩვენი წუთისოფლიდან
გაღმა გაგიტანია.

თუმცა ჩვენი ცხოვრებაც
ბევრმა არივ-დარია,

გული შენი ფანია,
მაინც, პენსილვანია.

მალა ყვავის სავარდე,
ფსკერზე სისხლის ლექია,
მარტო თავი იზამდა,
ტვინის ნაცარქექია?

პრინცო, ჩემიცი გითხარი,
რა მწყინს, რა მიხარია —
ისე, სათქმელად მომნონს,
ვივა, პენსილვანია!

ნერვებგამოქმულს მოაკლდა ქალაქს.
პატარა ბიჭი მამასა კრძალავს.

იმღერა? არა!
იცეკვა? არა! —
არ უცხოვრია, საცოდავს, არა!

საფლავშიც აბა რა მოასვენებს,
მოვა და ნავა, მოვა და ნავა.

ცეხლზე შიშინებს ჩამშრალი ქეთლი,
მამის ფინჯანში ცივდება ყავა.
გადააქვს ორპირს თუთუნის ფერფლი —
მორჩა ნერვების ძიძგნა და დავა.

ისედაც ბევრი იტანჯა, კმარა.
რამდენი ჰო და რამდენი არა.
ვინმემ ხომ უნდა დახუროს კარი,
არ გაუცივდეს ორპირში მამა.

პატარა ბიჭი მამასა კრძალავს.
ავადმყოფს კიდეც თუ ეყო ძალა,
იქნება უკან გამოჰყვეს ფარას —
„ცოტას თუ დაღვე?“
„დავლევ და ნავალ!“ —
უკანასკნელად დახედავს შვილებს —
აპატიებენ, ნეტავი, ლალატს?!

აღმართზე ავა, დაღმართზე ჩავა,
ტორტმანებს ხალხის მწუხარე ფარა.

პატარა ბიჭი მამასა კრძალავს.

ვახტანგ ჯავახიძეს

— სადა ხარ, სადა ხარ? —
იკითხა პოეტმა,
ეს იყო, სულ ამით გათავდა...
რა ვიცით, იქნება, პასუხიც მოესმა —
დადუმდა, არაფრით არა თქვა.

ელისეს აქეთ თუ ელისეს გადაღმა
ვერლენის მინდვრები გადახნა,
და მაინც არა თქვა, იპოვნა თუ არა —
სად იყო...
„სადა ხარ, სადა ხარ“ ...

ახსოვდა ტარიას ამბავის მთხრობელი,
რომ შემოჰლიმოდა აკენიდან,
ფეხის ასადგმელად, ერთგულმა მშობელმა,
პირველად ხელი რომ ჩაჰკიდა.

საკუთარ თვალეში დამწყვეტულ ქარიშხალს
და ვილაც მესამეს ეძებდა.
გარეთ კი საპყარი, ჭრიალა კარის ხმას
მიჰყავდა, დასახვრეტ კედელთან.

— ადექი, დახურე, თუ ძმა ხარ, საკანი,
ხომ ხედავ, ორპირი უბერავს.
რა იცის სიცოცხლემ,
სიკვდილი აქ არის —
კედელთან მსხვერპლს ესაუბრება.

სარკმელზე ბრახუნით, კიბეზე ბრავუნით,
ხელახლა მიდიან, მოდიან —
მაგას რალად უნდა ტყვია ან აგური,
ლექსების მჩხიბავი ლოთია.

იქნება, ამასაც რალაცა ეშველოს,
გამოდვრეს ბახუსის მახედან,
სად არის? — გაჰყვა თუ
სიკვდილის ეშველონს
ჩამორჩა, შორიდან გახედა.

იქნება, თავისი თავიც მოიკითხა —
სადა ხარ, აქეთ ხარ, იქით ხარ?
ამქვეყნად ვილაცამ ხომ უნდა გიკითხოს,
რა მოხდა, პოეტმაც იკითხა.



ლალი გულისაშვილი

ჯერ შაქარში აისვრიმა,
მერე დარდში დაისვრიმა...

პირისფერი იყო ვარდი,
სიროფი კი სქელი, სქელი...

და შაქარში აისვრიმა,
ცოტა ვარდი, ბევრი დარდი...

გამოთხოვნა

ჩვენ ვერასოდეს ვიცხოვრებთ ერთად,
რაც უნდა გრძნობა იყოს სათუთი,
ხვალ სხვასთან მიმაქვს დედის ნაქონი
ვერცხლის კოვზი და ოქროს სათითე...

ვემშვიდობებით ერთმანეთს უხმოდ,
რადგანაც თავად ასე ინებე,
ხვალ სხვასთან მიმაქვს ჭრელი საბანი,
ჩემი ოთახი, ჩემი ნიგნები...

ხვალ სხვასთან მიმაქვს ჩემი კრამიტი,
ჩემი მინა და მამის სურათი,
წვიმა მოდის და მომყვება წვიმაც
და ყველაფერი არის სულერთი...

ნუშის ხეს

ჩვენი ნუშის ხე გარდაიცვალა...
ბებიაჩემის და პაპის ტოლი,
მეომაროვით ეგდო ეზოში...
დამტირებელიც არავინ ჰყავდა!

მხოლოდ შაშვების პატარა გუნდი
შემოგვეგება ღია ჭიშკართან
და ჭირისუფლის ნალველით სავსე
გალობით მიგვყვნიენ ეზოს ბოლომდე...

რაც მნამდა...

რაც მნამდა,
იმის დაცვა
შემაძლებინე, იესო,
„რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ“ —
გძლიესო...

რაც მსურდა,
კვლავაც იგი
მასურებინე, კეთილო,
დაღლილო, სიფრიფანავ,
ჩამოფლეთილო...

რაც ვიყავ,
კვლავაც იმად
უნდა დამტოვო, ძლიერო,
არ დაიჯერო ცილი —
გძლიესო...

ტყეში ამოსულ შინდად
და ჭორფლშერეულ კრამიტად,
დამტოვე,
ყოვლისშემძლევ,
სხვა საბოძვარი არ მინდა...

მე ღარიბი ვარ...

მე ღარიბი ვარ, როგორც უფალი,
ამიტომ მარად თავისუფალი...

უარაფრობით ასე მდიდარი,
მდინარესავით მუდამ მდინარი...

უფლის ჩიტი ვარ, ზეცად მზირალი,
სავსე ტირილით, განა მტირალი...

ჩემი საფრენი ზეცის თალია,
სამარხი — უფლის თეთრი ბალია...

მე ღარიბი ვარ, როგორც უფალი,
სწორედ ამიტომ — თავისუფალი...

მე ისე მინდა...

მე ისე მინდა,
ბედნიერი ვიყო...
მორი, გავიხალისოთ ცხოვრება
და ცოლად გამოგყვები.
ტრაგიკული სახელი დავარქვით
ამ დღეს,
თუნდაც, ასეთი:
„ხოზეს კარმენი ციხეში მიჰყავს“...
გაგიჟდებიან ჩვენი ამხანაგები,
ციხის მძიმე კარს ააჟღარუნებენ

სუფთა სახლი

მახსოვს:
ბებიამ სუფთა სუფრა
მაგვიდას რომ გადააფარა...
(თუ ჩემს ბავშვობას?!)...

ჩემო იესო,
რა მარტო ხარ...
მარტოობა ძლიერ გშვენივს კიდევ!
მარიამიც მარტოა, ღვთისმშობელი,
მეც მარტო ვარ, შენი ჭირიმე...
მარტოობა ისე ძლიერ გშვენივს
მერე რა, რომ იუდამ გაგყიდა!
მერე რა, რომ ბრბო და თაყვანისმცემლები
გაცილებდნენ...
მერე რა, რომ ეკლის გვირგვინი დაგადგეს...
მერე რა, რომ თორმეტივე მოციქული
შემოგნატროდა...
ჩემო იესო, საყვარელო!
მარტოობა ხომ სულის სამკაულია...
(ეგევც შენ!)

ალარ ვმუშაობ...

ალარ ვმუშაობ,
ვდიასახლისობ:
ჭურჭელი უნდა დავრეცხო,
ლოგინი ავალაგო,
სახლი დავალაგო,
სადილი გავაკეთო
(ძირითადად ბავშვი რასაც ჭამს)...
როცა ვმუშაობდი,
ეს ყველაფერი გაკეთებული მქონდა
და ხანდახან ლექსებსაც ვწერდი!!!
ეჰ, ნეტა იმ დროს...

გუნანა

გუნანა, ჩემო მეგობარო!
სურათი უნდა გადაიღო,
ერთი ფოტო მაინც,
რომ დაგჭირდეს
ფეისბუქზე გამოსაქვეყნებლად
ან პოეზიის კრებულში დასაბეჭდად...
ხან მოწყენილი ხარ,
ხან — მხიარული,
ხან — გაოცებული,
ხან — შეშინებული...
ნუ გიკვირს,
ერთი ფოტო მაინც
ხომ უნდა გადაიღო
იმ ბოლო დღისთვის,

არავის რომ არ გვინდა
(არც — მე...
არც — შენ...),
მაგრამ მაინც მოვა...
ერთი ფოტო მაინც
ხომ უნდა გადაიღო,
რომ დაგჭირდეს...

„აკაცია, ბაკაცია“...

— აკაცია, ბაკაცია,
მამაშენი რა კაცია?!
— მამაჩემი გლეხია,
მამაშენი... —
მერე ისეთი ცუდი სიტყვა
მოდოდა, რომ... —

მამაჩემი ის კაცია,
კომბლეს თლის და
ჭერში აწყობს,
ვინც ჩვენ შეგვჭამს,
თავში ჩასცხობს.

— აკაცია, ბაკაცია,
მამაშენი რა კაცია?!
— მამაჩემი დურგალია,
მამაშენი... —
მერე ისეთი ცუდი
სიტყვა მოდოდა, რომ... —

— აკაცია, ბაკაცია,
მამაშენი რა კაცია?!
— მამაჩემი ვექლია,
მამაშენი... —
მერე ისეთი ცუდი სიტყვა
მოდოდა, რომ...
და ასე შემდეგ...
გაიგე?!

მე რკუცნი

გომბორთან ახლოს
არის სოფელი ვერონა
(შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“...),
ოღონდ იქ ქალაქია
(ეჰ, მერკუციო...).

მარო გუგია ვარდის მუარაგას ხარშავდა...

ცოტა ვარდი, ცოტაც დარდი,
აისვრიმა, დაისვრიმა...

ბევრი ვარდი, ბევრიც დარდი,
ბავშვობაში გადავბარგდი...

და გვეტყვიან:
 — ისე გვეწყინა...
 — არ მოველოდით...
 — ეგებ ჯერ კიდევ არ არის გვიან... —
 შენ პირველი გამოტყდები
 და ჩუმად,
 მაგრამ მტკიცედ იტყვი:
 — დავიღუპეთ, მართალია... —
 და მალემსობოლი გაფრინდება
 შენი სახლისკენ,
 რამეთუ მე არც სახლი მაქვს
 და არც არავინ მელოდება
 ამ ქვეყანაზე...
 მე ისე მინდა,
 ბედნიერი ვიყო,
 მოდი, რაიმე მოვიფიქროთ...

მარინა

თოკზე სარეცხი უნდა გაფინო,
 მარინა,
 ანდა მძიმე ყუთები შეკრა,
 როცა სამშობლოს გატოვებინებენ
 და თან წაიღო
 სევდის მარლი,
 ცრემლის ღვინო,
 შხამის ხმაიადი...
 თოკზე ძალივით უნდა ება
 იმ ერთადერთი ღობის ძირას,
 შენი ბავშვობის სახლს რომ არტყია...
 მხოლოდ სარეცხი უნდა გაფინო
 შენი ჭკვიანი, ჯადოსნური ხელებით,
 თოკი არ უნდა ჩამოაბა,
 მარინა...

ჩაქარა ჩამოდი...

ჩქარა ჩამოდი,
 თორემ უშენობამ დამასწეულა...
 ლოგინი ცივი სამარეა,
 წყალი — სანამლავე,
 ხოლო დილა ისე თენდება,
 თითქოს ყორანთა გუნდმა გადაიფრინა
 ჩვენს ფანჯრებთან...
 შენ ბუნებით მანანნალა ხარ
 და ვიცი, უდარდელად დაიარები
 უცხო ქალაქში,
 ეგება — მარტო,
 ეგება — არც,
 („მაგრამ ისეთი ბედნიერი ხარ“,
 ამ ერთხელ გაპატიებ)...
 მე კი ოთხ კედელში გეძებ
 და ყველა კუთხიდან
 შენი ხმა მესმის...
 შენ ფიქრობ ჩემზე?
 გახსენდები?
 ალბათ, ხანდახან
 და სულში ისე დაგთბება ხოლმე,
 თითქოს დედა თბილ რძეს გასმევედეს...
 გესმის ძახილი:
 — ჩამოდი ჩქარა!
 უშენობამ დამასწეულა... —
 ისე გაგწვალდი შენს მოლოდინში,
 ლამის ვიფიქრო —
 აღარ გიყვარვარ!
 მაგრამ...
 მე თუ არ გეყვარები,
 სიყვარულს, საერთოდ, როგორ შეძლებ?...
 და რა კვირის შუაღამს

და რა კვირის შუაღამს

მე გელოდები — როგორც განაჩენს,
 მოხვალ და... თავად მეტყვი დანარჩენს...
 მე გელოდები — როგორც ნიბლია,
 როგორც მეთევზე — ტაროსს იღბლიანს...
 ნემის ღრუბლები შემომესია,
 რომ არ მიყვარდე — უკეთესია...
 მე გელოდები — როგორც განაჩენს,
 რომელიც მომკლავს ან გადამარჩენს...

მთვარის ციკლიდან

მთვარე,
 ჩემს შეყვარებულს
 გზა აერია და დაეხმარე,
 სახლისკენ მიმავალი ბილიკი გაუნათე...
 დაღლილი და მარტოსულია,
 პრეტენზიული და ძალიან უმწეო,
 გეხვებები,
 რაიმე მოიფიქრე,
 გზა შინისაკენ მოაძებინე...

მთვარე,
 ჩემს შეყვარებულს ტვინი აერია,
 უთხარი,
 ქუჩებში შემოიღვივო მოხეტიალეს
 ტელეფონის ბოძი
 ცისკენ მიმავალი კიბე ნუ ჰგონია...
 ირქარე, მთვარე,
 გააღვიდე ამ ყინვაში ჩაძინებული
 და თუნდაც ვინმე კეთილ ხეიბარს
 სამშვიდობოდე მიაყვანინე...

დაგლაღე, მთვარე,
 მართლაც რომ გული გაგინყალე,
 შენ იმდენი გყავს საპატრონო,
 (შეშლილები და სნეულები,
 მარტოსულები და მემობოხენი),
 რომ ეგება ჩემმა ბოლო თხოვნამ
 სულ გადაგრიოს:
 — ხანდახან, ზოგჯერ, იშვიათად,
 როცა დრო მოგჩნდეს,
 ჩემს სარკმელშიც შემოიხედე...

ვზივარ ცეცხლთან...

ვზივარ ცეცხლთან,
 არაფერი მინდა,
 წვიმს ისევე,
 როგორც გუშინ წვიმდა...
 ცოტას ვსვამ და
 სულ ცოტათი ვთვრები,
 არც რას ვფიქრობ,
 ზამთარია. ვთბები.
 თუ ჩამოხვალ,
 გაზაფხულიც მოვა,
 თუ არა და,
 მოუმატებს თოვა...
 შეკრთა გული,
 გაჭრილდა კარი,
 არაფერი,
 შემოვიდა ქარი...
 ვზივარ ცეცხლთან,
 აღარავის ველი,
 შუბლზე მადევს
 ზამთრის ცივი ხელი...

აგას

ავტობუსიდან მომეჩვენა:
 თითქოს ქუჩა გადაჭრა მამამ...
 პირველად ვნახე ამდენ ხალხში,
 ასე შორიდან.
 რაღაცნაირად მოდიოდა —
 ძალიან მარტო,
 გამორჩეულად...
 (ალბათ იმიტომ,
 მხოლოდ ჩემთვის რომ მოდიოდა...)

გახსენება

გახსენებ და სულს
 შენთან ყოფნა სურს...
 გიფენ ალვის რტოს,
 მაგრამ რაღა დროს...
 ცად მივყვები ნისლს,
 თუმცა... აღარც ღირს...

საყვარელი პიჯაჟი

ჩემს სოფელში საყდარი დგას
 მოწყვნილი ჩიტვივითა,
 გარს მინდორი შემორტყმია
 მოხატული ჩითვივითა...
 ეზოს სწრაფად გადაივლის,
 აშოლტილი ხესავითა
 მონაზონი... ისეთია,
 ჩამავალი მზესავითა...

იქვე წყარო მოჩუხჩუხებს
 მხიარული ცოლივითა,
 ყველაფერი დამავინყდა
 შარშანდელი თოვლივითა...

მესმის მხოლოდ, უსტვენს შაშვი
 ჯადოსნური ბგერებითა,
 შუბლზე ვილაღ მეფერება
 სანთელივით ხელებითა...

ჩემს სოფელში საყდარი
 მოჭიკჭიკე ჩითვივითა,
 ამაყი და სევდიანი
 ფეხშიშველა ბიჭვივითა...

მადონა გვეხიძე წერილი მეგობარს

წუხალ გვიან ვნახე შენი წერილი. მწერდი ბანალურად, თუ რამე დაგჭირდეს, მომწერეო; ნავიკითხე და ვიგრძენი, რომ შენმა სიტყვებმა განთიადს დაასწრო და მომეცა ძალა, ისევე შემეხედა მისთვის. რახან მწერ, გავკადნიერდები და მოგწერ, რომ მჭირდება არაჩვეულებრივი დრო, როცა მოვიგდებ ჩანთას და ნავალ ძალიან შორს. ჩანთა მჭირდება დიდი, სუპერ ნივთები რომ ჩაეტიოს. ფეხსაცმელი კარგი — ყველა მწვერვალი რომ გადალახოს და დიდი ქუდი, რომელშიც დავიმალევი, მე ხომ ისედაც არ ვარ აქ. მჭირდება ხის პატარა ოთახი, პატარა კელიის მსგავსი, სადაც საღამოს ცეცხლს დავანთებ და ვიგრძნობ, რომ შინ ვარ. მჭირდება ოთახში შემოწმნეველი სარკმელი, ესეც სენაკის მსგავსი, რომლის პატარა ფარდას მხოლოდ იმისთვის გავწვენე, რომ ოთახში მთვარე შემოვუშვა, სხვა მხრივ ჩამოშლილი მექნება მზეშიც, ავდარშიც, რადგან ასეთ დროს არასდროს ვიქნები შინ. მზადყოფნისთვის კიდევ მჭირდება სქელი სამოსი, ხელი რომ შემანმინდონ, სამოსმა ხომ უნდა გაუძლოს. თორემ ხომ იცი, სხეულს თუ ტყუილი დაემჩნია, ველარ მოაცილებ, მიი უმეტეს, ჩემს კანს ქონი რომ არ აქვს გასავლელი და პირველსავე ხელის წასმაზე სულშია უკვე. ამიტომ მჭირდება სქელი სამოსი, მერე რომ არ მისაყვედურო, რა მძიმედ დადიხარო. მძიმედ სიარული იქით იყოს და ისიც იცი, როგორ მინდა, ყველასგან შორს მარტო დავიწყო, ოღონდ, უეჭველი, მე გვირილების მხარეს მინდა. რა გამაძლებინებს მათ გარეშე. ამაზე ისევე გამკიცხავ, მეჩხუბები. რა ვენა, ზედმეტად ერთგული მინდა, ვიყო, ამიტომაც გვირილების მხარეს ვრჩები, რომლებიც ჩემზე უფრო ერთგულნი არიან. მეც ასეთებთან მინდა მხოლოდ. ენძელებთანაც მინდა, მათთან ვმუნჯდები და მაცოტომ. დუმილი მინდა, დაე, ყველას ის ვეგონო, ვისაც ჩემი გაჩუმებით ვგონივარ, ოღონდ მათთან ვიყო. ოხ, ვერც ერთხელ დავპატიჟე ორივენი ერთად. ეს ენძელა ისეთია, წამით შემავლებს თვალს და მტოვებს. მხოლოდ ჩემს იუბილზე დარჩა დიდხანს. მარტო ვიყავი და ამიტომ დარჩა. მერე გავუშვი, შემებრაღა, ამ სამყაროში ხომ დიდხანს ვერ ძლებს. თავი ასტკიცდა და გავუშვი. წავიდა, მაგრამ დაგიბრუნდებო, მითხრა.

რაც შეეხება გვირილას, გამოგიტყდები, დუმილის დროს მას უფრო ვბაძავ. ისიც ხომ ჩუმადაა, როცა მასში ვზივარ და ვსაუბრობ, ესმის ჩემი, მაგრამ გვირილა ჩუმადაა, ამიტომაცაა ასეთი სუფთა, კოპნია და სათნო. მე კი გვირილა მინდა, ვიყო, სულით მაინც; გვირილა ჩუმია, ენძელაზე ჩემი, ან რა უნდა თქვას, ნანახით აქვს პირი სავეს, სმენით ტანი აქვს მძიმე. რომ ისაუბროს, წყალი სჭირდება, წყალს კი ვერ სვამს, სათქმელი აქვს ბლომად პირში, ამიტომაც დგას და მისმენს. მალე წამიყვანენო და უხარია, სიმსუბუქის მოახლოებას გრძნობს. არ უნდა, დამტოვოს, მაგრამ ვგრძნობ, როგორ უჭირს და აღარ ვთხოვ. მტოვებს მხოლოდ დროებით. აბა, რომ დარჩეს და ჩემსავით ილაყბოს, ხომ დაუმძიმდა საბრალოს ტანი. ეჰ, გავრუმდები, თორემ წამომცდება რაღაც და ისევე მისაყვედურებ, თუმცა წამომცდა უკვე. რაც გვირილების სეზონია, სულ თან დამაქვს, სამეცადინო მაგიდაზე ჩემთან ერთად ზის და სწავლობს. რომ ვერ გეზულვოს, ვბრაზდები და ხელს მაგრად ვუჭერ, მაგრამ მახსენდება, რომ გვირილები დედა ღვთისასია და ხელს ვუშვებ. ხო, დედა ღვთისასია. მე ხშირად მიმაქვს მასთან ყვავილები, პატარა ჭიქაში ვანყო და ახლოს ვდებ, ვიცი, ისედაც იგრძნობს სურნელს, მაგრამ მაინც.

რამდენი ვიჩერჩეტე, მინდოდა, საჭიროებაზე მეთქვა, მაგრამ ფიქრებმა წამიღო და...

ხო, კიდევ მჭირდება სახლთან ახლოს ბაყაყების დიდი ტბა, რომელსაც გვირილები ექნება ჩარჩოდ. ჩავჯდები გვირილებში, ვესაუბრები ნიგნის პერსონაჟებს, გავკიცხავ, შევიყვარებ და ასე ვიტიტინებ დაუსრულებლად, რადგან სულ მარტო ვარ და ასეც რომ არ იყოს, ყველაზე კარგად მათთან ვგრძნობ თავს. ბოლო-ბოლო, სხვა სამყაროს სახლი მქონდეს და ბაყაყებს თუნდაც საწოლის ქვეშ ვაყიყინებ, გვირილებითაც ავაგებ ეზოს. ახლა მეტყვი, შექანებული ხარო, ამაზეც გავცემ პასუხს. ჩემს ასაკში ამ სამყაროში ცოტა შექანებულობა აღარაა საკმარისი, მეტად უნდა გავუბერო, რომ არ გავიყუდე. ეს შენც არ განწყენდა, რადგან ტირიფის მოტეხილი ტოტივით ვგავართ ერთმანეთს. მწყევლიო, მეტყვი, მაგრამ ვიცი, სული მეც შენნაირი მაქვს. ისევე დამავინყდა მოთხოვნები, არადა, ეს მინდოდა მხოლოდ. პატარა კვიცი მინდა, მყავდეს. იცი, როგორ?! მშვიერი მოსწავლის დანახვისას ფული მინდა, მქონდეს. სხვა სამყოფელისთვის ამ სამყაროში ადგილი მინდა, მქონდეს ან შენ გქონდეს. ან ორივეს ერთად. მინდა, შენ მაინც იშოვო თავშესაფარი ყოველივესთვის და ყველა ეს სურვილი შემისრულო, რადგან ვიცი, ამჟამად შენც ის გჭირდება, რაც — მე, მაგრამ მაინც რა დიდია ეს სიტყვები, არ გაქვს და მზად ხარ, გაიღო. ესაა ჩემთვის ბედნიერება — შენი მეგობრობა, და მე ვპირდები ჩვენს მეგობრობას, რომ ერთად ვივლით, რომ ვიცხოვროთ, რადგან ველარ ვძლებ, ვერ ვეტყვი. ცხოვრება მინდა, ვყვირი. არ ცხოვრობო?! მეტყვიან, ცხოვრობო, მაგრამ როგორ? ის, რაც ზოგს ცხოვრება ჰგონია, ჩემთვის უბრალოდ გაძლებაა, შეჩვევაა ამოუებასთან.

გესმის? ვიცი, შენ გესმის. ამიტომაც მინდა. გვირილები-ის სამყაროში მინდა. ცოტა კი გავსვრით, მაგრამ აიტანს. გვირილა ბევრია, თან ისეთი თეთრია, შენს ფერს ვერც იგრძნობს. ჩემგან იკითხოს, ნახშირნასამულს რომ დავამსგავსებ...



ან კაცი ისევ კაცმა შეჭამა...
როგორც მძინარე, კატამ — ღამურა,
დღისით და მზისით,
შუა ქალაქში,
ბანკმა „კლიენტი“ შეახრამუნა.

ყველას ეგონა, თავისით მოკვდა,
მოკლა ნერვების ნუნვა-გლეჯვამა,
სინამდვილეში ამგვარად მოხდა,
საწყალი კაცი ბანკმა შეჭამა.

ვიდრე ყანყრატო გამოაცალა,
ნოვა სისხლი და ბევრი აწვალა.

წავიდა კაცი, როგორც ენება,
ალარ სტანჯავდა მწარე ფიქრი და
დაკბენილ მკერდზე ეწყო ხელები,
თავისი ხელით რომ დაიკრიფა.

იონა

შეხუმრებით გიზო ზარნაძეს

მე რომ ოქროს ვაშლი მქონდა,
გადაგორდა, გადმოგორდა,
შევეხიდე დაღლილ მოძმეს,
დედაბოძად — დაშლილ ოდას.

განათდა და გაკაშკაშდა,
სადაც კი კარავი დავეცე.
მწიფდა ვარსკვლავების შინდით
სხვისთვის კუნაპეტი ღამე.

სიბერეს ხომ მოვეფერე,
რა ვიცოდი, რას ფიქრობდა,
გუგულის კვერცხი დამიდო,
გაქრა, მე რომ ვაშლი მქონდა.

ვითვლი, მაგრამ ვინ დაითვლის
გულზე ამოხეთქილ ბზარებს,
ვინ წაართმევს, რაც მებადა,
დროს — გამოცდილ გამოძალველს.

აჰა, წუთისოფლის ჯამი —
თაფლში გადაცვლილი მწარე,
შენც ხომ იცი,
ბოლოს მაინც,
ქარი უნდა გაჰყვეს ქარებს.

ვისაც წყვილი სანდალივით
ფეხს გიმშვენებს მზე და მთვარე,
თუ დაგჭირდე, გახსნილ თასმის
შესაკრავად ამიყვანე.

თხაზის ორკანსტრი

შეავსეს სცენა, გადაძვირ ბალახს ბეკნიან,
ბოტა-დირიჟორს (კონტრაბასი) რომ შინაურობს,
უნდა მასწავლოს თხაკიკინა ჩიტირეკიამ,
სიცარიელე, უმუსიკოდ, როგორ ხმაურობს.

ისედაც ვიცით, მწყალობელი, ვინ გყავთ თავდები —
(აქეთკენ თუმცა გასაკორტინი დარჩა ნაკლები)
მიდით, მაესტრო,
დაუმტკიცეთ კვლავ თავდადებით,
რატომ სჯობია ჩვენი ქვეყნის ვაკეს ანდები.

ძველი მოკითხვა მახსენდება —
„კიდევ ტოკავ, ტო?“
უნდა ვისმინოთ მოპეტელე თხების ტოკატო —
როცა არა გვაქვს,
რომ გვახსოვდეს, მაინც დრო და დრო
რქით თავსახური და ლუდს ქაფი როგორ მოეხადოთ.

ჩემს გემბანზე რომ ჩემი დროშით, უცხო ანძებით,
მოსაჩვენებლად აბუნტდებით და გაავდებით.
სხვისი ჰანგების
ძვირფას ჯაჭვს რომ შეაჟღარუნებთ,
არავინ გკითხავთ, ჩლიქოსანო, ვინა ბრძანდებით?

არ გაგხუნოთ საღამურმა, ოლონდ, ქათიბი,
ისე იბარტყეთ, ამ საცოდავს ვინ შეიყვარებთ —
მიდით, მაესტრო,
სიმართლეზე უფრო ნატიფი
ახლაც ოქროზე მეტად ბზინავს ნეხვის სიყალბე.

მოსაჩვენებლად ვინც შეგმოსათ მამის ლანდებით,
ცოცხალს კი არა, არ ანებებთ ცხედარს არჩევანს,
თქვენით დაღლილი სავარძლებით
თქვენც წაბრძანდებით,
სამაგიეროდ, წაგებულნი ომი აქ რჩება...

თხების ორკანსტრო,
მომკლა ფორტემ, ფორს-მაჟორია,
შავ როიალთან
შავი ფრაკით დგება მაესტრო —
მეტი რა გზა მაქვს,
რა გაუძლებს ქალაქს ჭორიანს —

კაცი საკუთარ პანაშვილებს
უნდა დაესწრო!

ნუ ფიქრობ, თითქოს ომი დამთავრდა,
გრძელდება ომი საკუთარ თავთან.

გრძელდება ომი უფრო საშიში —
გამოაღვიძეს შტორმი ჰაშიშის.

ვის აჩორკინენ მუხა სატივედ,
რა დროს ჩაუხტი მეფეს აუზში,
ხომ გაგაფრთხილეს,
ხომ გაგაფრთხილეს,
თეთრი ქოფაკი რატომ აუშვი?

მოლაპარაკე შუბლის ბეტონით
სავსე კლუბები და „შერატონი“,
„ამ ბატს იმდენი ბრინჯი შეტენეს,
როგორ მოუგებ კეგლის „ბეკონით“.

სიხარბის ბუდე რომ ვერ დაკეტე,
ყველაფერი რომ შენი გგონია,
მშიერ თვალებს რომ შემოგაცეცებს
ვიღაცის შვილი, ესეც ომია!

„ეკლესიაში იდგა, გალობდა —
როგორ დაადნო მელანქოლიამ...
სულ ერთი ყლუპი...“
ისე გალოთდა... —
ესეც ომია, ესეც ომია!

ომი ყოველთვის ტანკით არ მოდის —
ლამის ჭრიჭინის გლის „ბალამუტით“,
თავდავიწყებით გარბის კორტეჟი,
მისდევს ნახირი შავი „აუდის“.

კაცი და კაცი,
ქალი და ქალი,
ორი საწყისი
ტანჯულ სხეულში,

რა მოხდა მერე,
ხელს ნუ შეუშლი,
დარდი გაუშვი,
შხამი შეუშვი.

ეს ომიც, ვიცი, ეს აგონია,
შენი კი არა, სხვისი გგონია.

ოჯახის ქალი, ოჯახის დედა,
წავიდა, უკან არ მოიხედა...
ტივილმა ლამის ახადოს კეფა —
თურქულ ბალიშზე ქვითინი წვეთავს.

აქეთ ლაფია, იქით ლაფია,
წინაც ლაფია,
ლაფი — უკანაც,
ძვირად მოულობს, რაც იაფია —
უცხო ოჯახის ხვეტავს უკანალს.

მე რა გგონია, შენ რა გგონია,
ვინ გვეკითხება? —
ესეც ომია.

ჩვენი იმედი ვერ დათავთავდა,
ახალ საფლავთან მოთქვამს ბერდედა.
ნუ იფიქრებ რომ ომი დამთავრდა,
ომი დაინყო...
ომი გრძელდება!

მგელმა შეჭამა, მელამ შეჭამა,
ტურამ შეჭამა, დარდმა შეჭამა.

მწარე ლექსი

მერამდენე წელია, ერთხელაც არ დამხედე,
ფუსფუსით და ფეხის ხმით
ავინყდები ამ კედლებს.

გაუცხოვდა, გაცივდა,
რაც ცეცხლივით გამოქრი,
ეს ორპირიც ოთახში შენი წასვლის გამო ჰქრის.

მაინც გელი, მგონია, აი, ახლა შემოვა,
უშენოდ ხომ სიცოცხლეს,
ლექსსაც მწარე გემო აქვს.

მერამდენე წელია,
გულით ვერ გავიცინე —
დედი, შენს კერიაზე
ორი კობრა სისინებს.

მერამდენე წელია,
მერამდენე წელია!..

მისამე ზარი

თუ არ დარეკავს მესამე ზარი,
არ გაიღება თეატრის კარი.
გაიჭედება ორღანში მესა —
დაუმარხავი დარჩებათ მკვდარი.

თუ არ დარეკავს მესამე ზარი,
არ გაუჩნდება სირუმეს ბზარი,
ვერ წამოარტყამს დუნდულზე თითებს
ხელცარიელი ბებია ქალი.

თუ არ დარეკავს მესამე ზარი,
ანდა მისრე ჩათვლემს ბებერი,
არ დაიძრება მატარებელი —
ველარ შეხედება საყვარელს ქალი.

შეხედე, ახლა ამის დრო იყო?
ჯალათის ნაჯახს გამოსძვრა ტარი!..
აჰა, საკეტმა ისევ გვიმტყუნა,
არ იხურება აღსავლის კარი.

თუ არ დარეკა...
რაც არის არის,
ანონოს ვინმე ცოდო და ბრალი.
აღელდა ქმარი. გაიქცა ქალი.
ჯვარი დაუსვეს დაპნეულ მარილს.

თუ არ დარეკა, რა ეშველებათ
ოთხეულს — მძიმე და ოქროს ხანას,
ან თამამ ბიჭებს, დღეს პროფილში რომ
რევოლუციის მშობლებთან დგანან.

ვიდრე დარეკავს მესამე ზარი,
ჩამოიყვანეთ მეოთხე მგზავრი.
მრეცხავი დედა, მდაბიო მამა —
რატომ არ ფხიზლობს ოხრანკა ღამით.
ჩამოიყვანეთ მეოთხე მგზავრი,
ვიდრე გადაგვხნავს რუსული კავი.

გაჩერდა ეტლი... გავარდეს ჯანი —
ლამის მოსტეხა ბერდანამ მხარი,
გაიქცა მკვლელი — მკვდარი ცოცხალი,
ადგილზე დარჩა ცოცხალი მკვდარი!..

მაგრამ ხომ იდგა ღვთიური წამიც,
როცა დარეკა მესამე ზარმა,
როცა უფალმა უკურთხა ქნარი
და დაიძვრა რუსთველის ქნარმა!

კიდევ დარეკავს?
კიდევ დარეკავს?
კიდევ დარეკავს მესამე ზარი!



კამილო ხოსე სელა პასკუალ დუარტის ოჯახი

ფრაგმენტები რომანიდან
გადათარგმნა შინიჰვანა

ვფიქრობ, დრო მოვიდა პასკუალ დუარტის მოგონებების გამოსაცემად. ნაჩქარევი იქნებოდა ამის ადრე გაკეთება. არ ვისურვებ მომზადების გარეშე წარდგენა. ყველაფერს დრო სჭირდება. მათ შორის, ხელნაწერის მცდარი ორთოგრაფიის ჩასწორებას. არაფერი იმაზე რთული დასასრულებელი, როგორც ცხენის ჩლიქით ნაწერი სამუშაოსი. ნაადრევად რომ გამომეყვეყნებინა, საკუთარ თავთან მართალი არ ვიქნებოდი. მიღწეული დასრულების შემდეგ უნდა წარმოაჩინო.

ხელნაწერი ქალაქებში, რომელსაც წინამდებარედ გადავწერ, აღმოვაჩინე ალმენდრალეხოს ერთ აფთიაქში 39 წლის შუახანებში. ღმერთმა უწყის, რომელმა უფიცმა ხელმა მიიტანა იქ. იმ დღიდან აქამდე მათი მონესრიგებითა და გადმოთარგმნით ვიყავი დაკავებული. ხელნაწერს, ნაწილობრივ ცუდი ხელნერის და ნაწილობრივ ზოგიერთი დაუნომრავი და მოუნესრიგებელი ქალაქის გამო, თითქმის ვერ ნაიკითხავდით.


მსურს, თავიდანვე კარგად განვმარტო, რომ ნაწარმოები, რომელსაც დღეს ცნობისმოყვარე მკითხველს წარვუდგენ, მე არ მეკუთვნის, მხოლოდ მისი გადამწერი ვარ. ერთი ნიშანიც კი არ ჩამისწორებია ან დამიმატებია. მინდოდა, მონათხრობისთვის თავისი სტილით მეცა პატივი. გარკვეული ზედმეტად მკაცრი სიუჟეტებისთვის ვეცადე, მაკრატელი გამომეყენებინა და საღად ამომეჭრა. პირადი პროცედურა მკითხველს გარკვეულ მცირე დეტალებს აცნობს — არაფერი იკარგება მათი უგულვებლყოფით — სამაგიეროდ, გვთავაზობს არჩევანის უპირატესობას, თუნდაც ამაზრზენ პირადულობას არ დაეთმოს ყურადღება. პირადულობას, რომლის, ვიმეორებ, განმენდა უფრო მართებული მომეჩვენა, ვიდრე — გაპრიალება.

ჩემი თვალთახედვიდან და იქნებ, იმ ერთადერთი მიზეზიდან, რომლითაც მას დღის შუქზე წარვადგენ, გმირი ქცევების ნიმუშია. ნიმუში, რათა მას არავინ მიბაძოს, არამედ გაექცეს. ნიმუში, რომლის წინაშეც ეჭვის ნებისმიერი ქმედება ზედმეტია. ნიმუში, რომელზეც მხოლოდ ითქმის:

— ხედავ, როგორ იქცევა? შენ მისგან საპირისპიროდ მოიქეცი.

მაგრამ, მოდი, თვით პასკუალ დუარტემ ისაუბროს. მას ბევრი საინტერესო რამ აქვს ჩვენთვის მოსაყოლი.

კამილო ხოსე სელა



II თაზი

ჩემი ბავშვობის მოგონებები არცთუ კარგია. მამაჩემს ესტებან დუარტე დინისი ერქვა. პორტუგალიელი იყო. მე რომ ბავშვი ვიყავი, ის შუახანისა იქნებოდა. მთავრით მალალი და მსუქანი. დაბრანული კანით და ჩინებული უღვაშით, რომელსაც მუდამ ქვემოთ დახრილს ატარებდა. როგორც ყვებიან, ახალგაზრდობისას თავმომწონედ და კოპნიად დადიოდა, მაგრამ ციხეში ყოფნის შემდეგ გარეგნობა გაუფუჭდა, დასუსტდა, უღვაშიც ჩამოეშალა და საფლავში ჩასასვლელად გამზადებულს დაემსგავსა. მისი დიდი რიდი მქონდა და ოდნავადაც არ მეშინოდა. ხშირად იპურჭყებოდა, ცდილობდა, არ გადამყოფოდა. უხეში და უკმეხი იყო, ვერ იტანდა შეწინააღმდეგებას. მის ამ ჩვევას, რამდენადაც მახსოვს, ძალიან ვაფასებდი. როდესაც ბრაზდებოდა, და ეს ხშირად ხდებოდა, რამდენჯერაც დასჭირდებოდა, მე და დედაჩემს ძლიერ სილას გავგანნიდა ხოლმე, გვესროდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. დედაჩემი ცდილობდა, დარტყმები მოეგერიებინა, მაგრამ მე ეს არაფრად წამადგა — გარდა ჩემი ნებისყოფის გაფუჭებისა. ასეთ პატარა ასაკში ხორცი ხომ ძლიერ საათუთია!

არც მისთვის და არც დედაჩემისთვის არასდროს მიიკითხავს, როდესაც შეწყვეტდნენ ამ აყალმაყალს. ვფიქრობდი, ყველაზე დიდი გონიერება ჩაურევლობა იქნებოდა. ამ ცეკვას ისინი ხომ მართო უფრო მოხერხებულად ცეკვავდნენ. არ მჭირდებოდა არაფრის კითხვა, ქველი სულელების ნაკლებობა არასდროსაა ამქვეყნად, თანაც ასეთი მწირი ადამიანურობის პიროვნებებში. იყვნენ ისეთები, რომლებიც დროს გამოიჩინებდნენ და ჩემთან ამბის მოსათხრობად მოდიოდნენ. როგორც მათგან შევიტყვე, მამაჩემი კონტრბანდით ყოფილა დაკავებული, რაც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა მის საქმიანობას. მაგრამ წყაროს დოქი ერთხელაც ხომ ტყდება, არც საქმიანობა რამ არსებობს გაკოტრების გარეშე. უსაქმოდ მაინც არ დარჩენილა. ერთ დღეს — როდესაც ამაზე ნაკლებად ფიქრობდა — ნდობა დუპავს მამაცებს — კარაბინერები ჩაუსაფრდნენ, ფარული ვაჭრობა გამოუვლინეს და სასამართლოს გზას გაუყენეს. ეს დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო, რადგან მე არაფერი მახსოვს. ალბათ, ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი.

დედაჩემი, მამისგან განსხვავებით, სქე-

ლი არ იყო. მალალი და გამხდარი მოხდენილად დადიოდა; თუმცა, არაჯანსაღი, ფერმკრთალი იერი დაჰკრავდა. ღრმა ყვრიმალევი ჰქონდა. ტუბერკულოზიანს მიაგავდა, თითქოს, სადაცაა მიიცვალვობდა. იყო უგემოვნო და მოძალადე. მისი ხასიათი ეშმაკსაც კი მოაბეზრებდა თავს. და, ღმერთმა შეუნდოს, იმგვარი სიტყვათა მარაგი ჰქონდა. ნებისმიერ წამს გამოხდა და კრულავდა ყოველ ცუდ საქმეს. სიმართლე რომ ითქვას, მთელი მისი ცხოვრების წლები, რაც ვიცნობდი, მხოლოდ ერთხელ ვნახე დაბანილი. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მამაჩემმა ლოთი უწოდა, მას კი სურდა, ეჩვენებინა, რომ წყლის სულაც არ ეშინოდა. ღვინო კი, ბატონო ჩემო, არ ბეზრდებოდა. მუდამ, ძალღებებს როდესაც შემოიკრებდა, ან ქმრის უღელტეხი იქეჭებოდა ან სადუქნოში მაგზავნიდა დამალული ბოთლისთვის, რომელსაც, მამას რომ არ ენახა, შემდეგ ლოგინის ქვეშ მალავდა. ტუჩების კიდებზე მსუბუქი უღვაში ჰქონდა. აბურძღვულ უხეშ თმას თავს ზემოთ მცირე კუდრად იკრავდა. ტუჩებს გარშემო ნაირეგები, პატარა, სწორი და წითელი ლაქები შეენიშნებოდა. ვფიქრობ, ჩირქოვანი გამონაყარის კვალს უნდა ყოფილიყო. ამ ნაირეგებს ზაფხულობით ზოგჯერ სიცოცხლე უბრუნდებოდათ, მუქდებოდნენ და ქინძისთავებს ემსგავსებოდნენ, შემოდგომით — იწმინდებოდნენ, ზამთარში კი — ქრებოდნენ.

ჩემი მშობლები ერთმანეთს ნამდვილად ვერ ეგუებოდნენ. მათი მცირე განათლება მათი ღირსებების სიმწირეს აერთიანებდა და ღმერთისგან დადგენილი ნორმების შესაბამისობას სცდებოდა. ყველა მათი ნაკლოვანება, სამწუხაროდ, მემკვიდრეობით მერგო. ჩხუბის დასაწყისისგან და ინსტიქტებისგან თავის შესაკავებლად ნაკლებად ირჯებოდნენ. ეს კი ჩხუბისთვის ნებისმიერი მიზეზის საბაზს იძლეოდა, რაც უნდა მცირე ყოფილიყო. საკმარისი გახლდათ ქარიშხლის დაწყება და ეს დღეები გრძელდებოდა, ვიდრე თავისით არ დასრულდებოდა. მე, როგორც წესი, არც ერთის მხარეს ვიყავი, რადგან, სიმართლეს გეტყვით, ერთიც მობეზრებული მყავდა და მეორეც. ზოგჯერ მამის გატყუება მინდოდა, ზოგჯერ — დედასი. მაგრამ ეს სურვილი სისრულეში არასდროს მომიყვანია.

დედაჩემმა წერა-კითხვა არ იცოდა. მამამ — კი. ამით ისე დიდგულობდა, რომ დედას ყოველ ორშაბათსა და სამშაბათს თვალში აყრიდა კითხვის ცოდნის შესაძლებლობას. ხშირად, და საჭიროც რომ

არ ყოფილიყო, დედაჩემს უმეცარს უწოდებდა. დედასთვის ეს უშიშმისი შეურაცხყოფა იყო. ამის გამო საშინლად მწარდებოდა. მამა ზოგჯერ საღამოობით ხელში გაზეითი ბრუნდებოდა. გვინდოდა თუ არა, ორივეს სამზარეულოში დაგვსვამდა და სიახლეების კითხვას დაიწყებდა. შემდეგ თავის მოსაზრებებს მოაყოლებდა. ამ დროს მე კანკალს ვინწყებდი, რადგანაც ეს მოსაზრებები აყალ-მაყალის დასაწყისის მოსაზრებებზე უფრო ადვილი გამოდებოდა. უმეცარსა და ქაჯს უწოდებდა, მუდამ ღრიალით წარმოთქვამდა სიტყვებს და დასძენდა, გაზეითების ამბავი რომ სცოდნოდა, განა მასზე დაქორწინდებოდა. ეს უკვე საკმარისი იყო. დედა საცოდავს და გაბურძღვულს მიაყოლებდა. ხაზს გაუსვამდა მის სიგლახაკსა და პორტუგალიურ წარმოშობას. მამაც თითქოს ამას ელოდა, საპირისპიროდ და მის ცემას იწყებდა. სამზარეულოში სირბილით დასდევდა, ვიდრე არ მობეზრდებოდა. მე დასაწყისისთვის რამდენიმე დარტყმას მოვიგერიებდი ხოლმე. როდესაც გამოცდილება შევიძინე, ვისწავლე, რომ ერთადერთი ხერხი, ამ წვიმაში არ დავსველებულიყავი, მათი მიტოვება და გაცლა იყო მაშინვე, როგორც კი საქმე რთულდებოდა. ჯანდაბაშიც წასულანი!

სიმართლე ის გახლდათ, რომ ჩემი ოჯახის ცხოვრებაში მცირე რამ თუ იყო სასიამოვნო. მაგრამ, რამდენადაც ჩვენი ასარჩევი არ ყოფილა, არამედ ფაქტი — დაბადებამდე არჩეული — ერთნი ერთი მხარისთვის ვიყავით განკუთვნილი, მეორენი — მეორისთვის. ვცდილობდი, შესაბამისობაში ვყოფილიყავი იმასთან, რაც თავს გადამხდებოდა. ეს ერთადერთი საშუალება იყო იმედგაცრუების წინააღმდეგ. პატარაობისას, როდესაც ადამიანების კეთილი ნება უფრო მოქნილია, ერთ ხანს სკოლაში გამაშენეს. მამაჩემი მეუბნებოდა, რომ სიცოცხლისთვის ბრძოლა ძალიან რთული იყო და ამისთვის ერთადერთი იარაღით უნდა მოვმზადებულიყავი — ინტელექტის იარაღით, მხოლოდ მისი ფლობა შეგვეძლო. ამ ყოველივეს უცებ მომყრიდა და, როგორც ვაკვირდებოდი, მისი ხმა მეტად შეფარულად და საეჭვოდ მეჩვენებოდა. შემდეგ, თითქოს ბოდიშს იხდიდა, იცინოდა და, თითქმის ნაზად, მეუბნებოდა:

— ყურადღებას ნუ მომაქცევ, ბიჭო! უკვე ვბერდები.

ჩაფიქრდებოდა და ხმამალა რამდენჯერმე გაიმეორებდა:

— უკვე ვბერდები!.. უკვე ვბერდები!..

ჩემმა სასკოლო წვრთნამ ცოტა ხანს გასტანა. მამაჩემს, როგორც აღვნიშნე, გარკვეულ საკითხებში მოძალადე ხასიათი ჰქონდა, ზოგში კი — სუსტი, უსუსური. შენიშნული მქონდა, მისი ხასიათი, ძირითადად, მხოლოდ უმნიშვნელო საკითხებში გაივარჯიშებდა. მძიმე საკითხებზე, არ ვიცი, შიშის თუ რის გამო, იშვიათად ამახვილებდა ყურადღებას. დედაჩემს არ უნდოდა, სკოლაში მევლო. როგორც წესი, ნებისმიერი შემთხვევისთანავე, ზოგჯერ უმიზეზოდ, მუშენებოდა: ცხოვრებაში ღარიბი რომ არ ვყოფილიყავი, სულაც არ იქნებოდა საჭირო რამის შესწავლა. ამით მინას ანაყოფიერებდა, რადგან დიდად არც მე მხიბლავდა გაკვეთილებზე დასწრება. და ჩვენ ორს შორის, დროის დახმარებითაც, მამა დავითანხმეთ, სწავლისთვის თავი დამეხებებინა. წერა და კითხვა, მიმატება და გამოკლება უკვე ვიცოდი. ეს საკითხში გარკვევისთვის უკვე საკმარისი იყო. სკოლა 12 წლის ასაკში მივატოვე. ნუ ვიჩქარებთ. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ადრეული გათენებთი უფრო გვიან არ ღამდება.

საკმაოდ პატარა ვიყავი, როდესაც ჩემი და როსარიო დაიბადა. იმ ხნის მოგონება ბუნდოვანია ჩემში. არ ვიცი, რამდენამდე შევძლებ მის გადმოცემას სიზუსტით. თუმცა, თუ ჩემი მონათხრობი უზუსტობასაც შეიცავს, რეალობასთან მაინც უფრო ახლოს იქნება, ვიდრე წარმოდგენებსა და წარმოსახვასთან. მახსოვს, როსარიო რომ დაიბადა, იმ საღამოს ცხელოდა. ივლისი ან აგვისტო უნდა ყოფილიყო. სოფელი მშვიდი და ხვარტიანი იყო. ჭრიჭინობლები თავიანთი ჭრიჭინით თითქოს დედამინის ძვლებს ხერხავდნენ. მინაბულიყო ადამიანიც და მხეციც. და მზე, იქ სადღაც ზემოთ, თითქოს ყველაფრის ბატონი, ყველაფერს ანათებდა, ყველაფერს წვავდა... დედაჩემის მშობიარობები მუდამ ძალიან მძიმე და მტკივნეული იყო. ნახევრად დაჭრილს და გამოშვრულს ჰგავდა. ტკივილი მის ძალებს აღემატებოდა. საწყალი არასდროს ყოფილა სათნოების ნიმუში, არც ღირსებების, რადგანაც არ იცოდა ტანჯვა და გაჩუმება და ჩემსავით ყველაფერს ყვირილით აგვარებდა. ასე ყვირილში გაატარა რამდენიმე საათი როსარიოს დაბადებისას. დედებისა და უბედურე-



ბისთვის — ნელი მშობიარობა იყო. ან-დაზაც ამბობს: ნელი მშობიარობის უღვა-შიანი ქალი (მეორე მშობიარობას იმ პა-ტივცემული პიროვნების გამო არ აღვწერ, ვისთვისაც ეს მონათხრობია განკუთვნი-ლი).

დედას სოფლის ერთი ბებიაქალი ემსახ-ურებოდა. ქალბატონი ენგრასია სერო. ტკივილებისა და მშობიარობის დი-დოსტატი. ნახევრად ჯადოქარი და იმდე-ნად იდუმალი, რომ თან მოჰქონდა რალაც მალამოები, რომლებსაც დედაჩემს ტკივი-ლის დასაამებლად მუცელზე უსვამდა. მა-გრამ ის, მალამოთი თუ მის გარეშე, შეუ-ძლებლობამდე ყვირილს მაინც განაგრ-ძობდა. და ქალბატონ ენგრასიას უკეთესი აზრი არ დაბადებია, ვიდრე მისი ურწმუ-ნოებისა და ცუდი ქრისტიანების რიცხვში შეყვანა. რამდენადაც იმ ვითარებაში დე-დაჩემის ყვირილი შტორმივით იზრდებო-და, მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეშმაკ-ით იყო შეპყრობილი. ჩემმა ეჭვმა დიდხანს ვერ გასძლო. სწრაფად განიმარტა, რომ ამ უჩვეულო ხმების მიზეზი ჩემი ახალშობილი და იყო.

მამაჩემი საკმაო ხანი დიდი ნაბიჯებით დადიოდა სამხარეულოში. როსარიოს და-ბადებისთანავე სანოლს დაეყრდნო და დედაჩემს, ყოველგვარი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, თაღლითი და კახა უწოდა. ქამრის ბალთით ისე ძლიერ დაუნყო ცემა, რომ ახლაც გაცოცხლები ვარ, როგორ გადარჩა ცოცხალი. სახლ-იდან გავიდა და ორი დღე აღარ მოსულა. ბოლოს გაღვიძლი მთვრალი დაბრუნდა, დედას სანოლს მიუხლოვდა და აკოცა. დედამ კოცნის ნება დართო... შემდეგ კი დასაძინებლად საჯინბოში გავიდა.

III თაზი

როსარიოს ერთ ღრმა ყუთში ბატკნის მატყლის ქვეშაგები ჩაუფინეს და შიგ მოათავსეს. ასე ჰყავდათ დედაჩემის სა-ნოლს გვერდით, ბამბის სახვევებში გახვეუ-ლი. ისე ფუთავდნენ, ზოგჯერ მეგონა, გაგუდავდნენ. არ ვიცი, რატომ, იმ დროს ჩველი ბავშვები რძესავით ფითქინა წარ-მომედგინა. ჩემმა დაიკომ კი ცუდი შთაბე-ჭდილება დამიტოვა, როდესაც მოხარშუ-ლი კიბორჩხალასავით ნითელი და ნებო-ვანი დავინახე. თავზე უცნაური ბუსუსი ჰქონდა, ბელურას ბახალეებს რომ აქვთ ბუდეში. თვეების შემდეგ ეს ბუსუსი გას-ცვივდა. იგივე შრუანტელი მივლიდა მისი მოკუმული და თხელი ხელების დანახ-ვაზეც. დაბადებიდან ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ გასანმენდად სახვევები რომ მოხ-სნეს, კარგად დავაკვირდი, თუ როგორი იყო. აღარ იწვევდა იმ პირველი ჯერის სი-ძულვილს. ფერი გაღიავებოდა, თუმცა თვალებს ჯერ მაინც ვერ ახელდა — უთრ-თოდა, თითქოს ქუთუთოების ამოძრავება უნდოდა. მომეჩვენა, რომ ხელები დარ-ბილებოდა. სენიორა ენგრასიამ როსარიო-ნის წყლით კარგად დაბანა, სხვა რა უნდა გაეკეთებინა უბადრუკთა დამხმარეს. კე-ლავე სახვევებში შეახვია, ამჯერად ნაკლე-ბად დაჭიმულად. ძველი ჩერები გასარეცხად გადადო. ჩველი ისეთი კმაყოფილი დატოვა, რომ საათები უწყვეტად ეძინა. ჩემი სახლი გასუსული იყო, თითქოს ყველა გარეთ გავსულიყავით. ყუთის გვერ-დით მჯდომი მამაჩემი გოგონას ყურებში საათებს ატარებდა. როგორც ქალბატონი ენგრასია ამბობდა, შეყვარებულის თვალებით უყურებდა. ამ დროს მისი რე-ალური სახე მაიწყნებებოდა. ნამოდგებო-და, სოფელში ჩავივლიდა და როდესაც ყვე-ლაზე ნაკლებ მოველოდით, მისთვის უჩვეულო დროს, ისევე ყუთთან იჯდა სათ-უთი სახით და თავმდაბალი მზერით. ვინც არ იცნობდა და არ ენახა, მის ამგვარ სი-ნაზეს თვით წმინდა როკეს წინაშე დაიჯერებდა.

როსარიო ძალიან სუსტი და გალეული გვეზრდებოდა — რა უნდა გამოეწუნა დედაჩემის ცარიელი მკერდიდან! მისი პირველი თვეები იმდენად რთული იყო, რომ რამდენჯერმე თითქმის ხელიდან გა-მოგვეცალა. მამაჩემი მოუსვენრად მიმო-დიოდა, ხედავდა რა, რომ გოგონას მდგო-მარეობა არ უმჯობესდებოდა. ყველაფერს ხომ ღვინის სმით აგვარებდა. ერთხანს მე და დედას ისეთი ვითარების გადატანა მოგვიხდა, ძველი დრო გვენატრებოდა, რადგან იმ ხანად უარესი რა იყო, არ ვი-

ცოდით თურმე. მოკვდავების ცხოვრების იდუმალი ნირია, როდესაც ისე სძულთ, რაც გააჩნიათ და შემდეგ კი ენატრებათ. დედას ჯანმრთელობა გაუარესდა. რამ-დენიმე ზედა სახვევს თუ გამოცვლიდა, სულ ეს იყო. მამაჩემი თუ სადმე გადამეყ-რებოდა, დაუდევრად მომიგდებდა ორი-ოდ სიტყვას ან ბალთას გადმომიჭერდა, ისე რომ სისხლს მადენდა, სხეულს მიღურჯებ-და, თითქოს დასაშტამპი რკინით შემეხო.

გოგონა თანდათან მოკეთდა. დედას რომ გამოუწერეს, ნითელი ღვინის წვნიან-ისგან ძალა მოიკრიბა. ბუნებრივი შედეგი იყო. დრო სათლში არ ჩადგებოდა. როსა-რიომ თავის დროზე ფეხზეც ვაიარა და ამეტყველდა. თავისი სინაზით და ტიტინით ყველა მოაჯადოვდა.

იმ დრომაც განვლო, პატარები ყველა ერთნაირი რომაა. როსარიო გაიზარდა. დაქალდა. რომ ვაკვირდებოდით, ხელიკზე მეტად მოქნილი იყო. ჩემ ოჯახში ხომ არავინ გვეუბნებდა, ნიჭი რაში გამოგვეყ-ენებინა. გოგონა მალე სახლის დედ-ოფლად გადაიქცა. ყველას ზემოდან დაგვეცქეროდა. მისი მისწრაფებები სწო-რად რომ წარმართულიყო, ალბათ ცხ-ოვრებაში რალაცას შეძლებდა; მაგრამ რადგანაც ღმერთმა ისურვა, რომ არც ერთი ჩვენგანი განსაკუთრებული მი-დრეკილებით არ გამოჩნეულიყო, მისი გზაც სხვა მოთხოვნილებებისკენ წარიმა-



რთა. მალე ცხადი შეიქმნა, რომ სულელი არ იყო, არადა, ჯობდა, ყოფილიყო. კარგი არაფრისთვის ვარგოდა: ისეთივე მოხერხ-ებულობით ქურდობდა, როგორც ერთი ვინმე მოხუცი ბოშა ქალი. ახალგაზრდო-ბიდანვე სასმელს მიეჩვია. ძველი გამართო-ბებისთვის შეძავდაც მსახურობდა. ვი-ნაიდან მის გამოსწორებაზე არავინ იზრუ-ნა, ცუდიდან უარესი გახდა. ერთ დღესაც კი 14 წლის გოგონა ჩვენი ქოხისთვის ნაკ-ლებ დამახასიათებელი სიმამაცით ტრუხ-ილიოსკენ გაეშურა ელვირაში. შეგიძლია-თ, წარმოიდგინოთ, რა გამოიწვია მისმა ნასვლამ სახლში. მამა დედას ადანა-შაულებდა, დედა — მამას... რაშიც ყვე-ლაზე მეტად შეიგრძნობოდა როსარიოს არყოფნა, მამაჩემის აურზაური იყო. რო-სარიო სახლში რომ იყო, ცდილობდა, მისი გასვლის შემდეგ აეტყუა ხმაური, ახლა კი, რადგანაც თვალნი არ ჰყავდა, ჩხ-უბისთვის ნებისმიერი დრო და ადგილი შესანიშნავად ეჩვენებოდა. საინტერესოა, თუ როგორ უსმენდა მამაჩემი, ასეთი უხე-ში და ჯიუტი, მხოლოდ მას, ერთადერთს. როსარიოს ერთი ამოხედვაც კი საკმარისი იყო მისი რისხვის დასაწყნარებლად. არაერთხელ დაზოგილა გვარიანი სილები მხოლოდ და მხოლოდ მისი სახლში ყოფ-ნის გამო. ვინ იფიქრებდა, რომ ამ დეკაც-ზე ერთი ციციქნა ბავშვი ასე იბატონებდა?

როსარიო ტრუხილიოში ხუთ თვემდე გაჩერდა, ვიდრე ერთ დღეს ნახევრად მკე-დარი და სიციხიანი არ დაბრუნდა სახლში. თითქმის ერთი წელი ლოგინად გაატარა. მამა, მართალია, ლოთი და ჩხუბისთავი იყო, მაგრამ ძირძველი ქრისტიანი და კანონმორჩილი გამხდარიყო. როსარიო-სთვის საიდუმლოდ ყველაფერი მოემზა-დებინა, ვინ იცის და უკანასკნელ გზას

გაუდგებოდა. ავადმყოფობას თავისი გამოწვევები გააჩნდა. ორი დღე თუ მოიხედებოდა, ორი ღამე ყველანი უკა-ნასკნელ წამს ველოდით. ჩემი მშობლები პირქუშად დადიოდნენ. იმ სევდიანი დროის მოგონებები დამრჩა კედლებზე ბრახუნის გარეშე ჩავლილი მშვიდობიანი თვეებისა. ეს დიდი ხნის წყვილი ჩამქრალი დადიო-და!.. მიუზობლის ქალები ბალახეულობის გამოწერას არ იშურებდნენ, მაგრამ რწმე-ნას მაინც ქალბატონი ენგრასია გვმატებ-და, დახმარებისთვის მას მივმართეთ, რათა როსარიო ენახა და განეკურნა. ღმერთმა უწყის, საკმაოდ ძნელი იყო მისგან დადგე-ნილი მკურნალობა, მაგრამ ვინაიდან ხუ-თივე შეგრძნება შიგ ჩააქსოვა, უნდა გვეს-ინჯა. ნელა, მაგრამ ჯანმრთელობა უბრუნ-დებოდა. როგორც ანდაზა ამბობს, ცუდი ბალახი არასდროს ამოიძირკვება. სულაც არ მინდა ამით იმის თქმა, რომ როსარიო ცუდი იყო, მაგრამ ხელსაც არ დაეინვა-ვი მის სიკარგეზე თავდადებით. ქალბა-ტონი ენგრასიას მიერ მომზადებული ნაყ-ენების შემდეგ მხოლოდ დროის გასვლას უნდა დავლოდებოდით, რათა ჯანმრთე-ლობა და მასთან ერთად თავისი შეუდარე-ბლობა და მოქნილობა აღედგინა.

კარგად გახდომამ კარგი ვერ გახადა. როდესაც ჩემი მშობლების სახლში სიხარუ-ლი კვლავაც დაბრუნდა, ერთადერთი ქალ-იშვილის გამოჯანმრთელებაზე თანხმდე-

გამოდოდა. არ ვიცი, ეს რამდენად ვინ-მუნო, რადგან მამაცი სულაც არ მჩრვნი-ბოდა, ქალებთან არშიყის გარდა. ქალები კი, მათ შორის ჩემი და, ამას ბრმად იჯერებდნენ. ამით ამაყობდა. ხომ იცით, რამდენად ზედმეტად აფასებენ ქალები ტორერებს. ერთხელ დონ ხესუსის სახლის — „ლოს ხარალესის“ განაპირას მივედიო-დი. მას გადავეყარე. მალეობზე ჰაერის ჩასასუნთქად აღმენდრალეხოდან ათასი მილის ნაბიჯზე გამოსულიყო. ყავისფერებ-ში კარგად შემოსილი, კეპით და ხელში ლერწმის ტოტით. ერთმანეთს მივესალმეთ. რადგანაც ჩემ დაზე არაფერი ვკითხე, ცბი-ერად ბოლმეიანი ფრაზეები გადმომიგდო. მოვითმინე. მან კი შენიშნა, რომ თავი შეუ-რაცხყოფილად ვიგრძენი. როდესაც გაბრუნება დავაპირე, მომძახხა:

- და, როსარიო?
 - შენ გეცოდინება...
 - მე?
 - აბა, შენ თუ არ იცი!
 - მე რატომ უნდა ვიცოდე?
- იმდენად სერიოზულად ამბობდა, თითქოს ცხოვრებაში ტყუილი არ ეთქვა. არ მსიამოვნებდა მასთან როსარიოზე საუბარი, ხომ ხვდებით, რატომაცა.
- ლერწმის ტოტს თავთავებს ურტყამდა.
- თუმცა, კარგი. ისე, რომ იცოდე, კარ-გადაა. არ გინდოდა, გაგვეგო?

- მომისმინე, ესტირაო, იცი, რას გეტყვი? მე კაცი ვარ. სიტყვებზე არ დავი-არები. ნუ მალიზიანებ!.. ნუ მალიზიანებ!
- სიტყვით მჯობდა. ხელის დარტყმაზე რომ მისულიყო საქმე, ჩემს გარდაცე-ლილებს გეფიცებით, იქამდე მოვკლავდი, ვიდრე თმის ღერს შეეხებოდა. ვეცადე, დავწყნარებულიყავი. ჩემი ხასიათი თვი-თონვე ვიცოდი. კაცებს შორის ჩხუბი მი-უღებელია, როდესაც ერთს იარაღი აქვს ხელში, მეორეს კი — არა.
- მომისმინე, ესტირაო! აჯობებს, გაეჩუმიდე! შენი საცოლუა? ჰოდა, იყოს! მე რა?

- ისე მიწვევდა, თითქოს ჩხუბს ეძებსო.
- იცი, რას გეტყვი?
- რას?
- შენ რომ ჩემი დის საქმრო ყოფილ-იყავი, მოგკლავდი.

ღმერთმა კარგად იცის, იმ დღეს გაჩუმება ჯანმრთელობის ფასად დამიჯ-და. არ მინდოდა მისი ცემა, არ ვიცი, რა-ტომ. ძალიან უცნაური იყო ჩემთან ასე საუბარი. სოფელში ამის ნახევარსაც ვერ-ავინ მიბედავდა.

- სადმე რომ გადამეყარო, ბაზრობის მოედანზე მოგკლავ.
- სისულელეებს რომავ!
- დანით!
- გაიარე რა, ესტირაო! გაიარე!

იმ დღის შემდეგ თითქოს ძვალში ეკა-ლი ჩამარჭვეს და დღემდე ასე მაქვს. რა-ტომ მაშინვე არ ამოვიძრე ეს ეკალი, ახ-ლაც არ ვიცი. დროის გასვლის შემდეგ, სხვა მღელვარებისას, ჩემმა დამ შემოგვი-არა და იმ სიტყვების დასასრული მან მო-მიყვა — როდესაც ღამით ესტირაო ნივეე-სის სახლში როსარიოს სანახავად მისულა, განზე გაუყვანია და უთქვამს:

- იცი, რომ შენი ძმა არც კაცია და არც არაფერი? და, იცი, რომ კურდღელიე-თი გაისუსება, ხმები თუ მოესმა?

ჩემი და ჩემ დასაცავად გამოსულა, მა-გრამ ძვირად დაჯდომია. კაცს გაუმარ-ჯვია. მეც მომიგო. ეს ერთადერთი ბრძო-ლა იყო, რომელიც წავაგე, რადგან ჩემთვის ჩვეული ხერხით არ ვიბრძოლე.

- მომისმინე, მტრედო, სხვა თემაზე ვისაუბროთ. როგორ ხარ?
- რვა პესეტა მაქვს.
- მეტი არა?
- მეტი არა. რა გინდა? ცუდი დროა!.. ესტირაოს ლერწმის ტოტი სახეში ურტყამს, ვიდრე არ მობეზრებია.
- შემდეგ...
- იცი, რომ შენი ძმა არც კაცია და არც არაფერი?

დამ მთხოვა, მისივე ჯანმრთელობის გამო სოფელში დავრჩენილიყავი. ძვალში ჩარჭობილი ეკალი თითქოს ამოძრავდა. რატომ არ ამოვიძრე ის იმ დღესვე, ახლაც არ ვიცი...



მწერალი

მარიამ ნიკლაური

საკუთარ შემოქმედებაზე, სხვების ნიგნებზე, საბავშვო მწერლობაზე, გამომცემლობების ლიტერატურულ ღირებულებებზე, მწერალთა სანუხარსა და სიხარულზე, ქალ ავტორებზე, თარგმანებზე, პოეზიასა და ბედისწერაზე პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი მარიამ ნიკლაური გვესაუბრება.

— „ლიბო“ — საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი, რომელიც 2006 წელს თქვენი და ირმა მალაციძის თაოსნობით დაარსდა, მიზნად ისახავს იმ პრობლემების დაძლევა, 15-20 წლის განმავლობაში რომ შეიქმნა ჩვენთან. ლაპარაკია საბავშვო მწერლებისა და ლიტერატურის მიმართ სახელმწიფოს თუ გამომცემლობების დამოკიდებულებაზე. იქნებ უფრო კონკრეტულად მითხრათ „ლიბოს“ დაარსების მიზეზებსა და მიზნებზე?


— „ლიბო“ იმ წლების სირთულეებიდან ერთგვარი გამოსავლის ძიება იყო. ვგულისხმობ ყველა იმ ცვლილებას, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცვლილებებს ბუნებრივად მოჰყვა. ახალი, პოსტსაბჭოთა თაობის ავტორებს გაუჩნდათ პრობლემის შემსუბუქების სურვილი. ვეცადეთ, თავიც გადაგვეჩინა და გარემოც, რომლიც უნდა გვეარსება. საჭირო გახდა პირადი ინიციატივების გამოჩენაც, ახლებური მიდგომებიც. სწორედ ჩვენი თაობა იყო, რომელმაც ჩაჭრილი ხიდიდან შეძლო მეორე ნაპირზე გადახტომა. ამ პრობლემებზე, მაშინდელ თუ ახლანდელ სიტუაციაზე, ცალკე ანალიზი და საუბარია საჭირო. ძალიან მოკლედ ვიტყვი, რომ ჩვენ ახალ სამყაროსთან ურთიერთობა დავინწყეთ გამოცდილების გარეშე, ინტუიციით და სუფთა გულით. არაფერი გვაკავშირებდა საბჭოეთთან და არც შეღავათებით გვისარგებლია — არც ზრუნვა, დოტაციები, სახელი, გამოცემები, მკითხველის ნდობა გვექონია; გვექონდა თანადგომა ზოგიერთი უფროსი კოლეგისგან, მათი სიყვარული და ჩვენდამი რწმენა. რა შევძელით? შევძელით ყველაზე მთავარი: დარგის მონაპოვრისა და ტრადიციის შენარჩუნება და გაგრძელება, ახალი სისხლის გადასხმა, გამოვეცით „საბავშვო ლიტერატურის ალმანახი“, დავაარსეთ „ქართული საბავშვო ნიგნის დღე“ — 27 ოქტომბერი, ახალი სახელებისადმი ინტერესი გავუღვიძეთ მკითხველებს; სკოლებთან, საბავშვო თეატრებთან, გამოცემლობებთან ვითანამშრომლეთ, ინკლუზიური განათლების სფეროში ვიმუშავეთ, უცხოელ კოლეგებთან მთარგმნელობითი საქმიანობა და გარკვეული ურთიერთობები ავანწყეთ, საერთაშორისო პროექტებში ჩავეერთეთ... „გამოუცემელი ნიგნების გამოფენები“ გავმართეთ და მუდმივად შევახსენებთ გამომცემლობებს, რომ არსებობენ ქართველი ავტორები.

— ამ წლების განმავლობაში ფონდმა საკმაოდ აქტიურად იმუშავა. როგორია შედეგი, რამდენად გამოსწორდა ვითარება?

— გამოსწორებას დავარქმევ, თუ ოდესმე ამ სფეროს მხოლოდ ნიჭიერი და მოაზროვნე ადამიანები ეყოლებიან. თუმცა ჯერჯერობით ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება.

დღეს ფონდი გამოსცემს ვირტუალურ

ელექტრონულ „თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა“, ირმა მალაციძე რედაქტორი. ესაა ავტორებთან თანამშრომლობა და ცდა, ამ ჟურნალმა მიიღოს მკითხველამდე. სასიამოვნოა, რომ დიდი ხნის ოცნება საქმედ იქცა და კულტურის სამინისტროს თანადგომით დაარსდა გოგებაშვილის სახელობის საბავშვო ლიტერატურის დამოუკიდებელი კონკურსი, მაგრამ ცუდი ისაა, რომ, საზოგადოდ, თავად დამოკიდებულება საბავშვო ლიტერატურისადმი არის არასათანადო, საბავშვო ლიტერატურას არ ცნობენ ისინი, ვისაც ლიტერატურული ამინდის შექმნის გარკვეული ბერკეტები აქვთ. უცნაურია, რომ ამხელა სამზადისში ფრანკფურტისათვის, არ აღმოჩნდა სათანადო



რესურსები და დაინტერესება თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის სათარგმნელად. ასე დავსვით საკითხი: ვთქვათ და, უცხოელი ავტორი დაინტერესდა „ქართველი საბავშვო ავტორებით“, აბა, სცადეთ და მოიძიეთ ეს სეგმენტი და ამ ტიპის მასალა ინგლისურად. რას აღმოაჩენთ? ყველა თაობის ავტორი ჩიოდა, რომ ეს დარგი არ იმსახურებდა ყურადღებას. ახლაც შეიძლება იმავეს თქმა. ეს ტესტავს, სინამდვილეში, რა ღირებულებების მატარებლები ვართ, ბევრი რამ ასე არა და სხვანაირად უნდა იყოს, მაგრამ სულ ამ სიტყვას „უნდა, უნდა“-ს გავიძახით. სრულიად გასიგრძელებული მაცქვს, რამდენად ძნელია საქართველოსთვის ამხელა გამოწვევების მიღება, მათთან გამკლავება, ამხელა ფორუმებზე ღირსეული წარდგენა, და რომ საკმარისი არც კადრებია არასდროს, არც თანხები, მაგრამ მაინც გაუმართლებელია მსგავსი დამოკიდებულება საბავშვო სფეროსადმი.

აღარაფერს ვამბობ საავტორო უფლებების სამარცხვინო დარღვევებზე, ავტორთა პირდაპირ ექსპლუატაციაზე, უპრონორაროდ დარჩენილ მწერლებზე. ეს ცალკე საკითხია კიდევ... ქართულ საზოგადოებასაც აქვს ასეთი უცნაური სწრაფვა, გვერდი აუაროს ქართველ ავ-

ტორებს და მხოლოდ უცხოელი მწერლის თარგმნილი ნიგნები შეიძინოს. ერთი სიტყვით, ყველაფერი „ძლიერ კარგად არის“. ნუ ვახსენებთ თარგმნას და აქაურობას მოვავლოთ თვალი. სკოლის ღირექტორი საბუთს რომ მოგთხოვს, აბა, თუ მწერალი ხარ, საბუთი მაჩვენეო, რაღაზე უნდა ილაპარაკო, ან საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომელს რომ ბოლო 25 წლის ავტორებიდან და ნიგნებიდან ერთიც არ ეცნობა, რთულია, არ გაცდეს, არც ენთუზიაზმი დაკარგო, არც შემოქმედებითი მუხტი და შენ შენი აკეთო. მაღლობასაც ვიტყვი და არც კარგ მკითხველებს, კარგ პედაგოგებს, მშობლებს, ბიბლიოთეკარებს დავივიწყებ.

ვითარების გამოსწორება კი კომპლექსურ მიდგომებს გულისხმობს. ამას უკვე სჭირდება ნიგნის, კითხვის, კულტურის სულ სხვა პოლიტიკის შემუშავება, სხვა მასშტაბების და რესურსების ჩართვა. ყველაფერი მაინც მიდის ღირებულებებთან: რამდენად ძვირფასია ბავშვი მომავალი სახელმწიფოსთვის? ვისი გაზრდა უნდა



სახელმწიფოს? როგორი მოქალაქე ესაჩიროება ქვეყნის მომავალს? გვინდა ევროპულ ქვეყნად ვიქცეთ, მაგრამ რას ვაკეთებთ ამისთვის ჩვენს სფეროში? იმდენს ვერ მივალნიეთ, რომ დაფიქრდეს სახელმწიფო და თუნდაც ბიბლიოთეკებს დაუფინანსოს სოლიდური ოდენობის ნიგნის შესყიდვები, რომ ავტორსაც თანადგომა გამოუცხადოს ამით და გამომცემლობასაც. ბევრგან სახელმწიფო არამც თუ ნიგნების სოლიდურ ტირაჟს ყიდულობს ბიბლიოთეკებისთვის, არამედ ავტორებს უხდის კომპენსაციას იმ ტირაჟისთვის, ბიბლიოთეკაში რომ შეიტანა და ამიტომ გაყიდვის წილიდან ისინი ჰონორარს ვეღარ მიიღებენ.

— მიუხედავად სახელმწიფოს დამოკიდებულებისა, რაზეც თქვენ საუბრობთ, 2009 წელს „ლიბო“ ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის გამარჯვებული გახდა და, მგონი, მწერლის ხსოვნის ჯილდო დაიმსახურა.

— ჯილდო, რომელიც ნახევარმილიონ ევროზე მეტია, არ დავგვიმსახურებია, ასე რომ ყოფილიყო, მართლა შევცვლიდით რამეს მნიშვნელოვნად. ჩვენ დავიმსახურეთ მხოლოდ ყურადღება და გარკვეულწილად თანადგომა შევიდ კოლეგებისგან. და ეს მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ ჩვე-




ნი ფონდით გავხდით პირველი ნომინანტები საქართველოდან. რატომ არ წარადგინდნენ საქართველოდან არავის ამ პრემიაზე — ამაზე არაერთხელ დავბეჭდვნიერილი და აქ აღარ ჩავუღრმავდები საკითხს, მაგრამ ზუსტად კი გამოჩნდა, რადამოკიდებულებაც ჰქონდათ საბავშვო მწერლობისადმი მაშინდელი განათლების, კულტურის მინისტრებსა თუ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესვეურებს. ეს დამოკიდებულება დიდად არ შეცვლილა, თუმცა, რა თქმა უნდა, ახლა ოდნავ უკეთესი ვითარებაა, ოღონდ, ბევრად არა, და ვისაც აინტერესებს, ასე რატომ ვამბობ, იმას მერე ავუხსნი მიზეზებს. ეს საკითხი ითხოვს სხვანაირ ხედვას, მიდგომას და არა მხოლოდ ფასადურ დამოკიდებულებას.

— 2016-ში გამოიცა „ქართველი პოეტი ქალები“, ორენოვანი ანთოლოგია, რომლის ავტორიცა და შემდგენელ-რედაქტორიც თქვენ ხართ, შესავალიც თქვენ დაურთეთ. კრებულმა 32 ქალი ავტორი დაიტია. ხშირად არ ხდება, პოეტი ასე ზრუნავდეს პოეტებზე, ორენოვანი ანთოლოგიას ადგენდეს, სხვა მხრივაც მუშაობდეს მათი სახელების პოპულარიზაციაზე. როგორ გაჩნდა ანთოლოგიის შედგენის იდეა, რა იყო ამის საფუძველი, რამდენად რთულია ამ ტიპის გამოცემაზე მუშაობა, მისი შედეგა?

— ყველა ქვეყანაში არსებობს დღეს ასეთი გამოცემები. ევროპული ქვეყნები, ინდოეთი, აფრიკა — ყველა გვთავაზობს ასეთ კრებულს. ჩვენ დიდი პოეტური ტრადიცია გვაქვს, გვყავს ძალიან საინტერესო თანამედროვე ავტორები და რატომ არ უნდა გვექონოდა მსგავსი კრებული? აქ ყველაფრის გაკეთება ჭირს, თუმცა საბოლოოდ კრებულის გამოცემა თბილისის მერიის კულტურის სამსახურმა დააფინანსა და ამ თანადგომამ შედეგი გამოიღო. ესაა პირველი ცდა და იმედი მაქვს, სხვა ამას ჩემზე უკეთ გააკეთებს. საერთოდ, რატომ არ უნდა გამოიცემოდეს ჩვენთან ინგლისურ ან ნებისმიერ სხვა უცხო ენაზე თარგმნილი ქართველი ავტორების ნიგნები? რატომ არ უნდა შეეძლოს ამ ნიგნების ყიდვა უცხოელ სტუმარს ნიგნის მაღაზიებში?

— ზოგადად, როგორ ფიქრობთ, ქალი ავტორები რამდენად პრობლემური თემაა საქართველოში? ზემოთ უკვე ვთქვით, რომ მსგავსი ანთოლოგიების გამოცემა გარკვეულწილად მიანიშნებს პრობლემაზე.

— საზოგადოდ, ქალის ფენომენი, მთელ მსოფლიოში, ბევრი მიზეზის გამო გამოიკვეთა. შემოქმედებითი თვალსაზრისით, ქალები არანაირ უპირატესობას არ ითხოვენ, არც სიამოვნებთ დიდად ასე მოხსენიება „ქალი ავტორი“. ავტორი ავტორია და სულერთია, ვინაა, გენდერული ბალანსით თუ დისბალანსით არ განისაზღვრება შემოქმედებითობის ხარისხი. მაგრამ ქალის ნიშა გააქტიურდა, ფაქტია. და მაგალითად, კონკრეტულად ჩვენი ანთოლოგიის შემთხვევაში მე ასე ვფიქრობ: რადგან ქართულ პოეზიას და, ზოგადად, ლიტერატურას სჭირდება წარმოჩენა უცხოეთშიც, ის რაც ყურადღებას მიიქცევს და პროპაგანდას გაუწევს ქართველ ავტორებს, ყველა შანსი უნდა გამოიყენოთ.





იტალიაში გამოიცა ქართველ (გიორგი ლობჯანიძე, ზვიად რატიანი, შოთა იათაშვილი, ნიკა ჯორჯანელი) და იტალიელ (მილო დე ანჯელისი, კლუადიო პოჯანი, დომენიკო ბრანკალე, ფრანჩესკო იანონე) პოეტთა ორენოვანი კრებული, რომელსაც იტალიურად ერთვის კრიტიკოს ივანე ამირხანაშვილის შესავალი. გთავაზობთ აღნიშნული წინასიტყვაობის ქართულ ვერსიას.

ივანე ამირხანაშვილი ლექსი როგორც მეხსიარება

საქართველოში ლექსს ლექსად არ თვლიან, თუ ის ზეპირად არ ახსოვთ. არის ამ ახირებაში ერთდროულად რაღაც არქაულიც და თანამედროვეც. დამახსოვრება — როგორც სიცოცხლის მეტაფიზიკური შინაარსი და კიდევ რაღაც, რასაც საზოგადოებრივ პრაქტიკამდე მივყავართ. პოეზია სოციალური ინსტიტუტი აღარ არის. საზოგადოებამ დაივიწყა პოეტი და პოეტმა დაივიწყა საზოგადოება. ამ დროს სადაღაც ამოქმედდა ინსტიტუტი მწერლობის ღირებულებითი სტატუსის გადასარჩენად. დამახსოვრება არის კავშირი, ილუზორული კავშირი ფასეულობით ტრადიციასთან. და დღეს პოეტი იმად ღირს, რამდენი სტერიქონიც ახსოვთ მისი ლექსებიდან.

მსოფლიო კულტურის კრიზისი მრავალ ენაზე მეტყველებს და ამ კრიზისის თვითგამოხატვის ერთ-ერთ ფორმად პოეტური აზროვნებაც გვევლინება. ლექსი მეტისმეტად ინტროვერტული გახდა. პოეტები ცხოვრებას კარგად ხედავენ, მაგრამ მოვლენებში არ შედიან. პოეტი ცდილობს, იყოს ყველგან, ოღონდ არა იქ, სადაც ევალება — ხალხში, მოვლენათა შუაგულში. ზოგჯერ ცხოვრება უფრო პოეტურია, ვიდრე ლექსი. თუ „პოეზიას“ გავიაზრებთ იმ სიღრმით, რა სიღრმესაც ეს ცნება გულისხმობს, მაშინ ყველაზე პოეტური მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, ყველაზე დიდი პოეტები — პოლიტიკოსები, რომლებმაც საბჭოთა კავშირი დაშალეს. ჩვენ თვალში განხორციელდა უდიდესი პოეტური მისტერია, ზესახელმწიფო, რომლის მთავარი საყრდენი კომუნისტური მითოლოგია იყო, ისტორიაში გადავიდა, განზოგადდა და თვითონ იქცა მითად.

განხორციელდა ორი გრადაცია: თეორიული სოციალიზმიდან ველურ კაპიტალიზმზე გადავიდა ქვეყანა, ხოლო პირობითი ობიექტურობიდან უკიდურეს სუბიექტივიზმში გადავიდა კულტურა. ბედის ირონიით, 1989 წელს, 1789 წლის რევოლუციის მე-200 წლისთავზე, ჩვენში დაიწყო ეპოქალური ცლილებები, რომელმაც შეგვიქმნა ფრანგული დეჟავიუ — გვეგონა, დამყარდებოდა საყოველთაო თავისუფლება, მის ნაცვლად მივიღეთ ნუგვორიშული ბურჟუაზია, რომელიც დაგვიმსხვრია დემოკრატიზმის ილუზიები.


ემპირიული სინამდვილე ისე ამალდა, რომ პოეტებმა სულაც დაივიწყეს ეს სინამდვილე.

ამიტომ პოეტებმა ვერ შექმნეს ახალი მითოლოგია. სამაგიეროდ, ის შექმნეს პოლიტიკოსებმა.

იმას, რასაც პოეტები უნდა ამბობდნენ და გამოხატავდნენ, დღეს პოლიტიკოსები ამბობენ და გამოხატავენ. პოეტურმა აქტივობამ პარლამენტში, პოლიტიკურ სივრცეში გადაინაცვლა. სანამ პოეტები საკუთარი დარდების გალექსითა და სიტყვიერი ეკვილიბრისტიკით არიან გართული, პოლიტიკოსები ყოველდღიური პერფორმანსებით მოიპოვებენ სულ უფრო მეტ მხარდამჭერსა და თავყანისმცემელს.

დეპუტატობის კანდიდატებისა და პარტიების მეთაურების გამოსვლები, ჩვენ რომ ბოძავს და წმინდა წყლის დემაგოგია გვეგონა, სინამდვილეში ახალი პოეტური ენაა, მასებს რომ მუხტავს და შთააგონებს.

შენ რომ პოსტმოდერნისტული დესტრუქციებითა და გამანადგურებელი ირონიით ჩაავიწყებო მკითხველს, ამ გიჟურ სამყაროში არარაობა და ლუზერი ხარო, ამ დროს პოლიტიკოსი ეუბნება, სამყაროს



გადარჩენა შენზეა დამოკიდებული, გამოწყვეცი და ბედნიერი ცხოვრება ერთად ავაშენოთ.

პოლიტიკოსებმა გამოძებნეს საზოგადოებასთან საუბრის ახალი მანერა და მათვე შექმნეს „ახალი ტკბილი სტილი“ — დოლცე სტილ ნუოვო — ქართული პოლიტიკური მონოპოლისაფისი.

პოეტებს ყოველთვის ბრძოლის გარეშე ათმობინებდნენ პოლიტიკურ სივრცეს, სამაგიეროდ, ქართულ ლექსს არასოდეს შეუწყვეტია შინაგანი ბრძოლა, რომელიც ტრადიციულად რეფორმისტული ხასიათისა იყო. ბოლო ასწლეულის განმავლობაში მეტ-ნაკლებად ყველა ცნობილი მიმდინარეობა და სალექსო ფორმა შემოვიდა ჩვენს პოეზიაში, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა, ოღონდ არ იცოდა — რა. ამიტომ გაუცნობიერებლად იბრძოდა რაღაც ხარვეზების შესავსებად. ერთი ასეთი ბრძოლა გაიმართა გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვერლიბრისტები და კონვენციონალისტები. მაშინ (შეიძლება დღესაც) ფიქრობდნენ, რომ ვერლიბრი კოსმოპოლიტიკური ფორმაა, რითმისა და ლექსი კი — ეროვნული. ამ ბრძოლაში ორივე მხარე დამარცხდა, გაიმარჯვა პატივითულ-კონიუნქტურულმა ლექსმა, რომელსაც პოეზიასთან, სიმართლესთან ითქვას, ნაკლები კავშირი ჰქონდა.

ვერლიბრისტების გააქტიურება გამოწვეული იყო არა მარტო იმ სურვილით, რომ მონოტონურობიდან გამოეყვანათ ქართული ლექსი, არამედ აქ ფარული პოლიტიკური იდეაც იგულისხმებოდა. ვერლიბრი დისიდენტობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეასთან იყო წილნაყარი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ ლექსში რითმის უარყოფა მინუს-ხერხად აღიქმებოდა, რადგან კლასიკური პოეზია რითმის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

რევოლუციური ძვრის პრაქტიკული შედეგი ის გახლდათ, რომ პოეტური ენა გათავისუფლდა კონიუნქტურული ნწებისგან. თუმცა აქვე გაჩნდა ახალი პრობლემა — თავისუფლების კომპლექსი. თავისუფლება მძიმე ტვირთად დანავს პოეტს, რომელმაც იგრძნო, რომ საჭირო იყო ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიება. 1990-

იან წლებში უხვად შემოვიდა დასავლური პოეტური-ესთეტიკური ნაკადი. ქართული ლექსი კიდევ ერთხელ გაიმართა „ევროპული რადიუსით“ (ტიციან ტაბიძე). რა მდგომარეობაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში? დაახლოებით ასეთი — ყველაფერი უკვე ითქვა, ყველაფერს ახლა ამბობენ!

ალბათ ასეთივე მდგომარეობაა იტალიაში, ისევე, როგორც მსოფლიოში. თუმცა ყველა ლიტერატურას აქვს თავისი, გამორჩეული, სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რომლებიც, ინტერესის გარდა, იმ რწმენა-

საც აღძრავს, რომ პოეზიის მომავალს იმედის თვალთ შევხედოთ.

ამ კრებულში რვა პოეტია წარმოდგენილი, ოთხი იტალიელი და ოთხი ქართველი. ეს პარიტეტული ალიანსი საკმარისია იმისათვის, რომ მცირედენი წარმოდგენა მაინც შევიქმნათ თანამედროვე იტალიურ და ქართულ პოეზიაზე. ამ ავტორთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში არის რაღაც საერთოც და განსხვავებულებაც, ჩვეულებრივად და არაჩვეულებრივად, რაც ადასტურებს იმას, რომ ამ სამყაროში ყველაფერი ჯერ კიდევ ისეა დალაგებული, როგორც საშუალო სტატისტიკურ ოპტიმისტს წარმოუდგენია.

მილო დე ანჯელისი (დაიბადა 1951 წელს), რამდენადაც ვიცი, აღიარებულია თანამედროვე იტალიური პოეზიის ლიდერად. უწოდებენ ნეოსიმბოლისტსა და ნეოჰერმეტიკს. ადრეუბენ ეუფენიო მონტალესა და ჩეზარე პავეზეს. იმასაც ამბობენ, მისი ცხოვრება და შემოქმედება ერთი მთლიანი მისტერიაა.

კლუადიო პოჯანი (1961) — პოეტი, მუსიკოსი, პერფორმერი. მახსოვს მისი გამოსვლა თბილისში, მწერალთა სახლის დარბაზში. როგორი მანერით კითხულობდა „ჩრდილების მარშს“, როგორი მძაფრი, ექსპრესიული და სუგესტიური იყო მისი ამომახილი: „ომმმ — ბრე!“ — მაგარი იტალიური თანხმოვნების მარში.

დომენიკო ბრანკალე (1976). მის პერფორმანსებს გამოარჩევს საგანგებოდ მიგნებული სივრცე, ხმა, დეკლამაცია, მძაფრი განცდები, ეგზისტენციური სიმწვავე და საგნების ფილოსოფია. ენა, რომელსაც ბრანკალე იყენებს, სალიტერატურო იტალიური არ არის. ეს გახლავთ სამხრეთულ ენათა ლუკანური დიალექტი — ძალზე ცოცხალი, ახლოს მდგარი სალ-აპარაკო ენასთან. აი, რას წერს მის შესახებ კრიტიკოსი რანკეტი: „ბრანკალეს ლექსები ჰგავს ზღვის ზედაპირზე გატყორქნილ ქვეებს, რომლებიც ჩაძირვამდე სამ-ოთხჯერ, იქნებ შვიდჯერაც, ასხლტებიან ზედაპირიდან და, თუმცა წამიერია მათი ფრენა, ამ გავლევების ნაკვალავი მაინც რჩება როგორც უცვარი სინათლე“.

ფრანჩესკო იანონე (1985) ყოფილი პოეზიის წარმომადგენელია. მისი ლექსი ადამიანური ყოველდღიურობის ისტორი-

აა. მოკლე ეპიზოდებში, ეფემერულ სურათებში ჩანს სიცოცხლის გაქვავება, უმოკლესი ამოსუნთქვანი, რომლებსაც მთელი თავისი დიდებულებით ვხედავთ, მაგრამ ვერანაირად ვერ მოვიხელთებთ.

შოთა იათაშვილი (1966) — გამოკვეთილი პოსტმოდერნისტი. პარადოქსების ოსტატი. მის ზუსტად დალაგებულ კალამბურებსა და ქიაზმებში არის რაღაც უაღრესად პოეტური და, ამავე დროს, მათემატიკურიც, რაც ალბათ ბუნებრივიც უნდა იყოს, რადგან პროფესიით მათემატიკოსია.

ზვიად რატიანსაც (1971) ტექნიკური განათლება აქვს, კავშირგაბმულობის სპეციალისტია, მობილური ოპერატორების სისტემაში მუშაობს, მაგრამ თხემით ტერფამდე პოეტიც. პოპულარული გახდა სამოქალაქო თემაზე დაწერილი მელანქოლიური ლექსებით, რომლებსაც ახასიათებს სოციალური სიმახვილე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა მეტაფორიზაცია და დიალოგური სტილი. კარგად ფლობს როგორც კონვენციური, ისე თავისუფალი ლექსის ტექნიკას. იყენებს კონტრაპუნქტის ხერხს, რითაც მისი ლექსი უახლოვდება პაულ ცელანისეულ ფუგის სტილისტიკას.

გიორგი ლობჯანიძე (1974) არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია. დამთავრებული აქვს თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურა რელიგიათა და მისტიკის ისტორიის სპეციალობით. არაბულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ყურანი. ლექსებს ოდნავ აღმოსავლური ელფერი გადაჰკრავს. იყენებს ირონიულ-პაროდულ მოტივებს პოსტმოდერნისტული აქცენტით. მისი ენა მდიდარია, ზუსტი და სადა.

ნიკა ჯორჯანელი (1978) პროფესიით გერმანისტია. არ გამოირჩევა საზოგადოებრივი აქტივობით. ცხოვრობს ლიტერატურით, ლექსით. იტაცებს ეგზისტენციური თემები, ადამიანის შინაგანი ტრაგიზმი და, როგორც თვითონ წერს, „ყოფიერების ნაზი აბსურდი“.

მოდი, ვიყოთ პერსონალისტები და ვაღიაროთ, რომ პოეზიის ისტორიას პიროვნებები ქმნიან. თვით ყოფიერების არსიც ხომ პიროვნული, ღრმად პერსონალური და სუბიექტურია. ცხოვრება თავის თავს გამოხატავს პოეტური სიტყვის მეშვეობით. ამიტომ სინამდვილე არის ისეთიც, როგორიც ამ იტალიურ-ქართულ „ალიანსში“ ჩანს და არის აგრეთვე ისეთიც, როგორიც ამ „ალიანსში“ არ ჩანს. მაგრამ მთავარია, რომ ვხედავთ პიროვნებებს, ერთმანეთისგან განსხვავებულ სუბიექტებს, რომელთა ხელით ჩვენი ყოფიერება იქსოვს თავის ისტორიას, მეხსიერებაში ტოვებს თავის თავს, რადგან იცის, მოვლენას მოვლენად არ მიიჩნევენ, თუ ის არ ახსოვთ.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004